პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ხუთშაბათი, 24 ივლისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი არმიელი

№ 555

ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## პოლიტიკური ხელმძღვანელები და მასწავლებლები.

ჩვენი ჯარის გათვითცნობიერებას, მის პოლიტიკურად გაწრთვნას ეწევა პოლიტიკური ხელმძღვანელი და მასწავლებელი.

პირველს დავალებული აქვს პოლიტიკური მხარის მოგვარება, მეორეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მოსპობა.

ჩვენი წითელ არმიელის უმრავლესობა ორივე ამ დარგში მოიკოჭლებს.

მან არ იცის წერა-კითხვა, მით უფრო არ იცის პოლიტიკური ანბანი.

როგორც ერთი, ისე მეორის ცოდნა აუცილებელია.

წარმოუდგენელია საბჭოთა ქვეყანაში ისეთი მოქალაქე რომელმაც წერა-კითხვა არ იცის და მით უფრო არ იცის პოლიტიკური ანბანი.

ამ რიგად ესორი დარგი ერთი მეორის დამატებას, ერთი მეორის განუყოფელ და აუცილებელ ნაწილს შეადგენს.

ეს კი მოითხოვს ჩვენი ჯარის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა შორის იყოს მჭიდრო კავშირი.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს კავშირი?

პირველ ყოვლისა მასში, რომ მასწავლებელმა უნდა იცოდეს თუ რას აკეთებს პოლიტიკური ხელმძღვანელი; უკეთ რომ ვსთქვათ მასწავლებელმა უნდა იცოდეს პოლიტიკურ ანბანის თუ მეტი არა, არავითარ შემთხვევაში ნაკლები წითელ არმიელზე.

ამ მხრივ, უნდა ითქვას, ჩვენი მასწავლებლები მცირე გამონაკლისით, მოიკოჭლებენ. მათ ეჭირვებათ პოლიტიკურ სფეროში ცოტა ყურების დაცქვეტა.

მეორე მხრივ ჩვენმა პოლიტ-ხელმძღვანელებმაც უნდა იცოდენ რას აკეთებს და როგორ აკეთებს მასწავლებელი, რომელიც ჩვენ დაქირავებული გვყავს ჯარის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად.

ყოველივე ამის მიხწევა კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ რომ ამ ორ მუშაკთა შორის იარსებებს მჭიდრო კავშირი.

ამ მხრივ ნაბიჯი უკვე გადადგმულია და ჩვენ იმედს ვიქონიებთ, რომ ეს დაახლოვება მოგვცემს სათანადო და სასურველ შედეგს.

## კიდევ ერიოს პოლიტიკის შესახებ.

მემარჯვენე გაზეთები განმარტავენ ერიოსა და ჩიჩერინის დეპეშებს.

გაზეთები უსაყვედურებენ ერიოს, რომ მან შეასუსტა საფრანგეთის პოზიცია სსრკ-ს მიმართ და აგრეთვე რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა ინტერესებიც.

ამის შესახებ „იუმანიტე“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთსა და სსრკ-ს უთანხმოება გამოწვეულია განსაკუთრებით საფრანგეთის მთავრობის მოქმედებითო.

მხოლოდ სსრკ-ს წინასწარი ცნობა თუ შესძლებს გააქარწყლოს ის დაბრკოლებანი, რომლებიც არსებობენ ორივე სახელმწიფოების შორის.

მემარჯვენე წრეები ფიქრობენ, რომ ერიოს მოქმედება ლონდონის კონფერენციაზე ვერ უზრუნველყოფს საფრანგეთის ინტერესებსო.

## მოკავშირეთა კონფერენციის მუშაობა.

ქვე-კომისიამ, რომელიც არჩევდა რურიდან ეკონომიური გასვლის საკითხს, დღეს დაასრულა თავისი მუშაობა.

ქვეკომისია ოთხშაბათს მოხსენებას გააკეთებს კომისიის პლენარულ სხდომაზე.

სხვა მოლაპარაკებებთან ერთად აღსანიშნავია ახალი თათბირი, რომელიც მოხდა 23 ივლისს მაკდონალდს, ერიოს, ტენისს, სტეფანის, კოლეგსა და სხვა წარმომადგენლებს შორის.

ფიქრობენ, რომ პლენარულ სხდომაზე წარდგენილი იქნება სრულიად განსაზღვრული აზრი ბანკირთა პირველი სესხის გაშვების შესახებ, რომლის რაოდენობა იქნება დაახლოებით 800 მილიონი მარკა ოქროთი.

ამ მომენტში ერიო, როგორც სჩანს, არ აპირებს შეთანხმებას აბსოლიუტურ გარანტიის მიცემაზე—გერმანიის საქმეში სეპარატიულად ჩარევის შესახებ, მაგრამ რომც შეუთანხმდეს ის ამ საკითხში, ფიქრობენ, რომ ის ვერც კი გაუამგრდეს შეიძლება იმ ქარტეხილს, რომელსაც გამოიწვევს ეს საკითხი დეპუტატთა პალატაში.

## საბჭოთა ფედერაციაში

### მეღვინე მუშათა საერთაშორისო კონფერენცია.

მოსკოვში მოხდა ერთი „დღით მეღვინე რევოლიუციონურ მუშათა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქნა „საერთაშორისო პროპაგანდის კომიტეტის მიერ.

დაესწრენ სსრკ-ს, ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, იტალიის, ესპანეთის, ირლანდიის, ავსტრიისა და შვეციის დელეგატები.

საერთაშორისო კომიტეტის მოხსენებიდან სჩანს, რომ კომიტეტის მუშაობა გამოისახა 8 საათის სამუშაო დღის გარშემო ბრძოლაში და ერთიანი ფრონტის შექმნაში.

კონფერენციაზე მიღებულ რეზოლიუციებში მოწონებულია საერთაშორისო პროპაგანდის კომიტეტის საქმიანობა და აღნიშნულია შემდეგი მუშაობის პრაქტიკული ამოცანები.

## პრემიერ კატოს ლაქიობა.

მიუხედავად იმ საერთო აღშფოთებისა, რომელიც გამოიწვია იაპონიაში ამერიკის საიმიგრაციო კანონმა, პრემიერ კატო მაინც სცდილობს კეთილი განწყობილება შეინარჩუნოს ამერიკის კაპიტალთან.

ამ მხრივ დამახასიათებელია პრემიერის სიტყვა პარლამენტში, რომ ის არ სთვლის კანონს იაპონიისთვის შეურაცხმყოფელად.

ამერიკასთან შერიგების მიზნით კატო სცდილობს აგრეთვე შეუთანხმოს თავისი პოლიტიკა სსრკ-ს მიმართ იუზის პოლიტიკას.

ტოკიოს გაზეთ „ედვერტეიზერ“-მა ამ საკითხის შესახებ მოათავსა წერილი, რომელშიაც იწონებს კატოს პოლიტიკას.

„ეს პოლიტიკა—ამბობს გაზეთი—მამართულია მეგობრულ განწყობილების აღორძინებისაკენ ამერიკასთან“.

მთავრობის წრეების ცნობების თანახმად შეიძლება მახლობელ დღეებში მთავრობა შეუდგეს „რუსეთის საკითხის განხილვას“.

## ხელსაყრელი საქმე.

როგორც იუწყებიან, ამერიკის ბანკმა მორგან კომპანიმ გამოსთქვა სურვილი ხელი მოაწეროს სარეპარაციო სესხის 50%-ზე, რომელიც უდრის 40.000.000 გირვანქას.

## თავის გაუფრთხილებლობის მსხვერპლი.

ნიუ-იორკის პრესა დამშვიდებით აღნიშნავს ცნობას ამერიკის ელჩის მოკვლის შესახებ თეირანში.

გაზეთი ამბობს, რომ ელჩი გახდა თავისი გაუფრთხილებლობის მსხვერპლი, რასაც არ შეიძლება მოჰყვეს რაიმე საერთაშორისო ხასიათის შედეგიო.

## ბალკანეთის სახელმწიფოებში.

### ნავთი.

იმ განხეთქილების გამო, რაიც გამოიწვია, რუმინეთის კანონმდებლობამ ნავთის შესახებ, ბუქარესტში მყოფმა ამერიკის წარმომადგენელმა აცნობა თავის გამგზავრების განზრახვა ვაშინგტონში და წინადადება მისცა დუკას აცნობოს რუმინეთის მთავრობის საბოლოო პოზიცია ამ საკითხში.

### სამხრეთ სლავიის მთავრობის კრიზისი.

როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, მეფემ წინადადება მისცა „სკუპშჩინა“-ს თავმჯდომარეს, იოვანოვიჩს შეადგინოს კაბინეტი.

როგორც გადმოგვცემენ, იოვანოვიჩის მოლაპარაკება სლოვენთა კლერიკალებთან და დემოკრატებთან მათი მთავრობაში მონაწილეობის შესახებ წარმატებით მიდის.

### ტერორი სამხრეთ-სლავიაში.

სამხრეთ-სლავიის მთავრობამ სლოვენიაში დააპატიმრა ას კაცზე მეტი, რომელთაც ბრალს სდებენ დამოუკიდებელ პარტიის წევრობაში.

### აშკარად.

ბულგარეთის მთავრობის ბლოკის პარლამენტარულ ფრაქციის სხდომაზე, პრემიერ ცანკოვმა განაცხადა, რომ ბულგარეთის დამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებთან საგრძნობლად გაუმჯობესდა, ვინაიდან მეზობელ სახელმწიფოების მთავრობებმა სწორად შეაფასეს ბულგარეთის ინიციატივა „ბოლშევიკურ საფრთხის ჩახშობის საქმეში.

### გერმანია კონფერენციაზე.

21 ივლისს ლონდონში მყოფი გერმანიის ელჩი მოლაპარაკებას აწარმოებდა სხვა და სხვა დელეგაციების მეთაურებთან. მოლაპარაკების მიზანი იყო საკითხის განხილვა გერმანიის მონაწილეობის შესახებ კონფერენციაზე.

საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანიათ.

გერმანიის ელჩმა ისარგებლა შემთხვევით და გადასცა დელეგატებს მემორანდუმი, რომელშიაც მოყვანილია გერმანიის თვალსაზრისი კონფერენციის დღის წესრიგში მყოფ საკითხებზე.

### ბანკირთა სურვილის თანახმად.

22 ივლისს დანიშნული იყო მოკავშირეთა ფინანსთა მინისტრების და ბანკირთა წარმომადგენლების თათბირი. თათბირის მიზანი იყო ახალი გარანტიების გეგმის განხილვა, რომელიც უნდა შეუთანხმონ ბანკირთა მოთხოვნილებას ისე, რომ არავითარი ზიანი არ მიადგეს სარეპარაციო კომისიის უფლებებს.

გეგმა გამომუშავებულია ბელგიის პრემიერ ტენისის მიერ.

### ერიოს აზრი.

„დეილი მეილი“-ს წარმომადგენლებთან საუბარში ერიომ განაცხადა, რომ თუმცა ყველა დაბრკოლება არ არის დაძლეული, მაგრამ საყურადღებო საკითხები ჩქარა გადაიჭრება.

### ინგლის საბჭოთა კონფერენცია.

„დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, გამომუშავებულია ინგლისის საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების პროექტი, რომლის გარშემო ამ ჟამად ორივე მხარე თათბირობს.

## გერმანიის კომპარტიის ცეკას პლენუმზე

რუტ ფიშერის მოხსენებაზე გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს კომინტერნის კონგრესის გადაწყვეტილებას და აგრეთვე გერმანიის დელეგაციის პოზიციას კონფერენციაზე.

პროფკავშირებში მიღებული რეზოლიუცია მოითხოვს მუშაობის გაძლიერებას, კომპანიის გაძლიერებას საერთაშორისო გაერთიანებისათვის.

## ინგლისი.

### მაკდონალდის დამარცხება.

ლონდონიდან მიღებულ ცნობის თანახმად თემთა პალატაში მაკდონალდი ხელახლა დამარცხდა, ვინაიდან მთავრობის კანონი ბინების შესახებ კვლავ უარყოფილ იქნა პალატის უმრავლესობით, 137 ხმით 119-ს წინააღმდეგ.

### თემთა პალატაში.

ფქვილის ხელახალი გაძვირების გამო, თემთა პალატაში მთავრობამ მიიღო შემდეგი შეკითხვა: არის თუ არა ეს მოვლენა გამოწვეული სპეკულიატიური ოპერაციების შედეგათ?

ამის საპასუხოდ სიდნეიმ განაცხადა, რომ მართლაც მან მიიღო ცნობა ფქვილის გაძვირების შესახებ, მაგრამ არ იცის მან თუ რა არის მიზეზი.

როცა ხორბლეულის სიმცირე არსებობდა, მაშინ სპეკულიაცია ოკეანეს ორივე მხარეზე სწარმოებდა.

შემდეგ მან აღნიშნა: ვინაიდან კანადიდან და შეერთებული შტატებიდან მოდის არა სასიამოვნო ცნობები ხორბლეულის ბაზრის მდგომარეობის შესახებ, ჩემის აზრით, ის ფასების აწევა, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, გამოწვეულია სახელდობრ ამ მიზეზით.

## მკაცრი დისციპლინის პარტია.

საფრანგეთის კომპარტიის სეკრეტარიატი აქვეყნებს კომინტერნის აღმასკომის დადგენილებას სუვარინის საქმის შესახებ და ამბობს, რომ სუვარინის გამორიცხვა ამტკიცებს იმას, რომ კომპარტია ერთნაირი კანონით ეპყრობა ყველა თავის წევრებს.

სეკრეტარიატი აცხადებს: „კომპარტიამ უნდა დაიცვას თავის რიგებში სასტიკი დისციპლინა, ურომლისოდაც შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის საჩქაროდ მიღწევა.

## აჯანყება ბრაზილიაში.

რომში არსებული ბრაზილიის საელჩო იუწყება, რომ მთავრობის ჯარები განაგრძობენ წარმატებით მოქმედებას რევოლიუციონერთა წინააღმდეგ.

ხელთ იგდეს მრავალი ტყვე, რომელთა შორის აჯანყებულთა მეთაურებიც ურევია.

ამ ჟამად მთავრობის ჯარებს უკავია თითქმის ყველა პოზიციები.

სხვა და სხვა ადგილებში პოლიცია აპატიმრებს პოზიციიდან გაქცეულ რევოლიუციონერებს.

### მსხვერპლი.

ვაშინგტონიდან მიღებულ რეიტერის სააგენტოს ცნობით, სანპაბლოსთან წარმოებულ ბრძოლაში დაჭრილთა და მოკლულთა რიცხვი უდრის სამი ათასს.

ბუენოს—აირესის ცნობით მთავრობის ჯარები განაგრძობენ ალყას სანპაბლოზე.

ათასობით გადახვეწილები თავს აფარებენ სანტოსს.

### ბრაზილიის მთავრობის ცნობა.

ბრაზილიის მთავრობის ოფიციალურ ცნობით, რევოლიუციონური მოძრაობა ბრაზილიაში ჩაქრობილ იქნება მოკლე ხანში.

## შეერთებული შტატები

### იუზის განცხადება

იუზმა ბანკეტზე განაცხადა: საჭიროა შთაეგონოს სესხისადმი ნდობა იმ პირებს, ვინც ხელს მოაწერს გერმანიის სესხზე.

მან განაცხადა, რომ ამერიკის ხალხი ძველებურად ინარჩუნებს შემთხვევათა შეფასების თავისუფლებას და ყველაზე მეტად ილტვის მშვიდობიანობისაკენ.

დასასრულ მან განაცხადა, რომ ამერიკელები დაინტერესებული არიან დოუესის გეგმის გატარებაში, რომელიც ანთავისუფლებს საერთაშორისო ნდოპისა და კეთილდღეობის გზას.

### ამერიკის პრესა.

ამერიკის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს ლონდონის კონფერენციის მუშაობის მსვლელობით და ყოველმხრივ ურჩევს სესხის გაშვებას გერმანიისათვის.

## რადიო ყოველ მხრიდან.

### ჩინეთი.

პეკინიდან მიღებულ ცნობით ჩინეთის ყაჩაღებმა ისარგებლეს წყალდიდობით და მოაწყვეს მრავალი თავდასხმები. განსაკუთრებით ყაჩაღები აწარმოებენ ძარცვას დაზარალებულ რაიონებში.

### გრენლანდია.

ქრისტიანიიდან მიღებულ ცნობით, ნორვეგიის მმართველმა ერთხმად დაამტკიცა შეთანხმება გრენლანდიის შესახებ.

### იტალია.

ამ დღეებში დანიშნულია ფაშისტების დიდი საბჭოს სხდომა, მოელიან მუსოლინის გამოსვლას სხდომაზე.

სხდომაზე გარჩეულ იქნება საკითხი ფაშისტურ სინდიკალისტური მოძრაობის შემდეგ მიმართულებაზე.

როგორც იუწყებიან ფაშისტური სინდიკალისტების მემარცხენე ფრთას განზრახული აქვს დახმარება გაუწიოს მუსოლინს.

დახურეს და ქონება ჩამოართვეს გაზეთ „ვორე რესპლიკანა“ს (რესპუბლიკანურ პარტიის ორგანოა), მეფის შეურაცყოფ სათვის.

### წმიდა პეტრეს ტაძარი.

რომის გაზეთები ათავსებენ ამერიკის ხუროთ მოძღვარის წერილს, სადაც ნათქვამია, რომ წმიდა პეტრეს ტაძარს, რომელიც იმყოფება რომში, დანგრევა უქადისო.

გაზეთები აბათილებენ ამ ცნობას, რომლებიც ემყარებიან იტალიის ხუროთ მოძღვართა გამორკვევას.

### ფრენა დედამიწის გარშემო.

როგორც ლონდონიდან იუწყებიან, ინგლისის მფრინავი მაკ-ლარენი გაფრინდა კუნძულ ურუპიდან შემდეგ პუნკტისკენ.

## გლეხის ქალი-კომისარი.

სოფელ დიდი თონეთის, მანგლისის რაიონი მცხოვრები საბედა ეგნატე აზრუმელაშვილის ასული თითქმის წერა-კითხვის უცოდინარი გლეხის ქალია.

როცა საბედას, 47 წელი შეუსრულდა, ხუთი სოფლის ორი ათას მოსახლეობის მიერ ის ერთხმად არჩეულ იქნა საზოგადოების კომისრად.

ეს მოხდა აპრილში 1923 წელს. ერთ-ერთი გლეხების მრავალ რიცხოვან კრებაზე ათასმა გლეხმა ხმა მისცა საბედას კანდიდატურას. ორი წელიწადია, რაც ამხ. საბედა მუშაობს ამ თანამდებობაზე. მისი მუშაობით ყველა კმაყოფილია.

ამხ. საბედა შუა ტანისაა, ცოცხალი, მოძრავი თვალებით, მხნედ და დაუზარებლად დაიარება სოფელ დიდ თონეთის ქუჩებში და მოუწოდებს გლეხობას კოოპერაციის დღის ჩასატარებლად.

აგერ მის კოფთის კალთის ქვეშიდან ქურდულად გამოიყურება რევოლვერი.

არ გასულა ნახევარი საათი, რომ მთელი გლეხობა, დედაკაცების გამოუკლებლივ, გამოდის წითელი დროშებით და მიეშურება მანგლისისაკენ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

მანგლისის ბაზრის დიდ მოედანზე მიტინგის გახსნამდე, მივდივარ მასთან.

— შვილები გყავთ თუ არა თქვენ ამხ. საბედა?



— რათ მინდა მე ჩემი შვილები, —აი ჩემი შვილები,—მიპასუხებს კომისარი და მიმითითებს მის გარშემო თავმოყრილ გლეხის ბავშვებზე.

— კერძო საკუთრება გაქვთ?

— ჩემი საკუთრება, რომელსაც არავის დაუთმობ, ეს—ჩემი პარტიული ბილეთი და რევოლვერია,—ამაყად მიპასუხებს ამხ. საბედა და მიმითითებს ჯიბისაკენ, რომელშიაც შენახული აქვს პარტბილეთი.

ჟორდანიას დროს ის არა ლეგალურად მუშაობდა. ქალაქიდან მას მოქონდა ლიტერატურა და პროკლამაციები და ავრცელებდა გლეხებს შორის.

დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მოსული გლეხები ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან და რკალივით გვერტყმიან გარს. ერთი მათგანი, ჯან ღონით აღსავსე ქართველი ჭაბუკი, ბოხი ხმით არღვევს ჩვენს საუბარს ამხ. საბედასთან:

— თქვენ იცით,—მომმართავს ის მე,—რა გულადი და მეომარი ქალია ეს!—აი, იმ რევოლვერით, რომელსაც ის თან ატარებს, ტყეში იარაღი აყარა ვინტოვკით შეიარაღებულ ერთ ყაჩაღს.

ჩამოართვა ვინტოვკა, გადმოაგდო ცხენიდან და ციხეში ჩასვა. გლეხობა დიდი მადლიერია მისი ამისათვის. ჩვენ მას დიდ პატივს ვსცემთ, აი, ასეთია ეს ქალი!

ჩვენ ბევრი გვყავთ ასეთები, მხოლოდ მათ გამოყვანა უნდა მასიდან და აქტიურ მუშაობაში ჩაბმვა.

ისაკოვი.

„რაბ. პრავდა“.

## ქალი წარსულში და დღეს

თუ წარსულს ოდნავ თვალს გადავავლებთ, ჩვენ დავინახავთ, რომ ე. წ. მატრიარქატის დროს უპირატესობა ქალს ეკუთვნოდა. ეს იყო მაშინ, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ მოხეტიალე ცხოვრებას ატარებდა. მამაკაცი მაშინ გალაღებული იყო ბუნების მიერ. იგი არ იყო მშრომელი. ნადირობას ეწეოდა და ადგილიდან ადგილზე გადადიოდა.

დედაკაცს პირობები სულ სხვა მდგომარეობაში აყენებდა.

მას მთავარი დანიშნულება, მშობიარობა, აიძულებდა ადგილობრივ მოწყობას, თავის კერის გაჩენას.

მან, ამიტომ, პირველმა დაიწყო მკვიდრი ცხოვრება და ამ ცხოვრებაში ჩაითრია მამაკაციც.

შემდეგ, ცხოვრების დროთა ბრუნვამ სულ სხვაფრივ შეატრიალა ჩარხი. კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის განვითარებამ ქალი მამაკაცის მონა-მორჩილი გახადა.

ბურჟუაზიას ის განცხრომის საგნად ყავს; მდიდრები მას უყურებენ, როგორც ჰურჰელს სქესობრივი ჟინის დასაკმაყოფილებლად.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში წარმოიშვა ქალის განთავისუფლების საკითხიც.

ქალს შეუძლია დაამსხვრიოს თავისი მონობის ბორკილი პროლეტარიატთან ერთად.

ყოველივე უფლებებს მოკლებული იყო ქალი ჩვენში ნიკოლოზის დროს. მას არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო მამასახლისის, მოსამართლეების და სხვების არჩევნებში. ამავე დროს კი მას ეს მამასახლისი დაატუსაღებდა, ეს მოსამართლე გაასამართლებდა.

რაც შეეხება ქალის არჩევას ამა თუ იმ თანამდებობაზე ეს ხომ ყოვლად დაუშვებელი იყო. ერთ დროს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უფლებაც არ ქონდათ ქალებს.

ოქტომბრის რევოლიუციამ დაამსხვრია ძველი ბორკილები. მან დაამსხვრია ქალის ბორკილებიც და მამაკაცებთან ერთად სრულ უფლებიან მოქალაქეთ აღიარა იგი.

ეს ნიშნავს იმას, რომ ქალს, როგორც მამაკაცს, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ყოველგვარ არჩევნებში. მას უფლება აქვს თვით იქნეს არჩეული.

ამ რიგად საბჭოთა ხელისუფლებამ ძირიან ფესვიანად შესცვალა ძველი კანონი. მან ყველას თვალსაჩინოთ დაუმტკიცა, რომ ქალს ისე, როგორც მამაკაცს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის აღმშენებლობაში, ოღონდ კი ამისთვის მას გასაქანი მისცენ.

ამის საუკეთესო დამამტკიცებელია დღევანდელი ჩვენი ცნობა **საბედა ეგნატე აზრუმელაშვილის ასულზე.**

**ბანი**

# კომინტერნის მანიფესტი მსოფლიო პროლეტარიატისადმი.

## ომის წინააღმდეგ! ბურჟუაზიის წინააღმდეგ! სოციალ-მოღალატეების წინააღმდეგ! მსოფლიო რევოლიუციისათვის! პროლეტარიატის დიქტატურისათვის! კომუნიზმისათვის!

## იმპერიალისტური ომის ათი წლის თავზე.

I

ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მსოფლიო ბურჟუაზიამ აამოძრავა მილიტარიზმის ჯოჯოხეთური ძალები. 1914 წ. 1 აგვისტოს დაიწყო მსოფლიოში უდიდესი სისხლის ღვრა. მართველი კლასები და მათი სამხედრო სტრატეგები ფიქრობდენ, რომ ომი რამდენიმე თვის განმავლობაში დასრულდებოდა. მაგრამ მათ მიერ გამოწვეულმა ამბებმა მათ მოლოდინს გადააჭარბა. არმიები, რომელთა რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა თავს იმარხავდენ სანგრებში ერთი მეორის წინააღმდეგ. ევროპის, და არა მარტო ევროპის, მშრომელთა მთელი ენერგია მიმართული იყო ომის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ. აშენებდენ, რომ დაენგრიათ და ანგრევდენ, რომ აეშენებიათ განადგურების ახალი იარაღები. 4 წელიწადი, 3 თვე და 26 დღე გაგრძელდა ეს საზიზღარი და უგუნური პროცესი, რომელშიაც კაპიტალისტურმა საზოგადოებამ იპოვა თავისი დასრულებული გამოხატულება.

პროლეტარები აშენებდენ განადგურების მანქანებს, პროლეტარები გლეხებთან ერთად იყენებდენ ამ მანქანებს, სხვადასხვა ერების პროლეტარები და გლეხები ანადგურებდენ ერთმანეთს. ახლა, როდესაც ვიხედებით უკან, ყოველი ჩვენგანი ეკითხება თავის თავს: როგორ უნდა წარმოვიდგინო ეს უგუნურება? მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი და წვავება მეორე საკითხი: მოგველის თუ არა მისი განმეორება მომავალში?

სამხედრო კატასტროფა დიდი ხნით ადრე მზადდებოდა. მოწინავე მუშები გრძნობდენ მის აუცილებლობას და აფრთხილებდენ ამის შესახებ მშრომელ მასებს. მოახლოვებულ ომის თავიდან აშორება შეეძლო მხოლოდ რევოლიუციონურ ბრძოლას, მხოლოდ მშრომელთა აჯანყებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ასეთ აჯანყებას როგორი მკაცრი ფორმებიც არ უნდა მიეღო მას, არ შეეწირებოდა ადამიანთა მსხვერპლის ერთი ასეული და მეათასედიც კი შედარებით იმასთან, რაც ომს შეეწირა. მაგრამ აჯანყება არ მოხდა. სოციალისტური პარტიების უმრავლესობა არა თუ არ მოუწოდებდენ მუშებს ომის წინააღმდეგ რევოლიუციონურ ბრძოლისაკენ არამედ, პირიქით, მიემხრნენ თავიანთ მთავრობას, გამოაცხადეს თავიანთ სახელმწიფოს ომი სამართლიან და მისაებ ომად და მოუწოდებდენ მშრომელ მასებს ხელი შეეწყოთ ამ ომისთვის. მხოლოდ ამ სოციალისტების დახმარებით ბურჟუაზიამ შესძლო აელაგმა მასები და განეგრძო ომი. მხოლოდ სოციალისტურ პარტიების ღალატის წყალობით, ბურჟუაზიას შეეძლო გაეგძელებია ომი 4 წელზე მეტი. მხოლოდ სოციალ-პატრიოტულ წინამძღოლების თანამშრომლობით მილიტარიზმის ყასაბებთან, კაცობრიობამ დაჰკარგა 10 მილიონი ადამიანი და მოიპოვა მრავალი მილიონი დასახიჩრებული. მხოლოდ შეიდემანის და ებერტის, რენოდელის და ლონგეს, ჰენდერსონის და ვანდერველდეს წყალობით ბურჟუაზიამ შესძლო დაუბრკოლებლად გაენადგურებია და გამოეფიტა ევროპა, დაენგრია ის, რაც მთელი საუკუნოებით იყო შექმნილი. 1914 წ. 1 აგვისტო, იმპერიალისტური ომის პირველი დღე, ბურჟუაზიის წინაშე სოციალ-დემოკრატიის ბელადების კაპიტულიაციის დღე—შავბნელი ასოებით ჩაიწერება კაცობრიობის ისტორიაში.

მუშებო და მუშა-ქალებო, გლეხებო და გლეხო-ქალებო! მოიგონეთ რას გპირდებოდენ თქვენ მმართველი კლასები ომის პირველ დღეიდანვე. თქვენ გეუბნებოდენ, რომ ეს ომი უზრუნველყოფილ არსებობას მოუტანს ხალხსო. თქვენ გპირდებოდენ, რომ ომის შემდეგ თქვენ აღარ მოგიხდებათ მილიტარიზმის სიმძიმის ტარება. თქვენ გარწმუნებდენ, რომ ეს იქნება „უკანასკნელი ომი. ასე გელაპარაკებოდენ თქვენ მეფეები, პრეზიდენტები, ბურჟუაზიული მინისტრები, ჟურნალისტები. ამასვე იმეორებდენ თავისებურად სოციალ-დემოკრატები და პროფესიონალურ კავშირების პატრიოტი-წინამძღოლები. ეხლა ათი წლის თავზე, თქვენ, მშრომელებო, შეგიძლიათ ჯამი გაუკეთოთ ყველაფერ ამას. თქვენ ხედავთ, როგორ უსინდისოთ და ბოროტად სარგებლობენ თქვენი ნდობით. გამარჯვებული ქვეყნებიც კი უფრო გაღარიბდენ, ვიდრე იყვენ ომამდე. მაგრამ თუ თქვენ მოგატყუათ ბურჟუაზიამ, ეს არ არის გასაკვირველი: ბურჟუაზია ჩვენი შეურიგებელი და დაუზოგავი მტერია. მაგრამ თქვენ მოგატყუეს იმათ, ვინც თქვენ წინამძღოლებათ მიგაჩნდათ. სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც მოიპოვეს მუშების ნდობა თავისი ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებით ბურჟუაზიის წინააღმდეგ, 1914 წ. 4 აგვისტოს გადავიდენ მის მხარეზე და მთელი თავისი ავტორიტეტი, მთელი თავისი გავლენა მიმართეს იქითკენ, რათა დახმარება გაეწიათ ბურჟუაზიისათვის ბოლომდის მიეყვანა მას ეს სისხლის ღვრა. ასეთია ფაქტები. ასეთია შიშველი სინამდვილე.

სოციალ-დემოკრატები გვპირდებოდენ ომის შემდეგ სამართლიან, დემოკრატიულ, სინიდისიერ ზავს ხალხთა შორის. ისინი სტყუოდენ. ისინი შეგნებულად და განზრახ გატყუებდენ თქვენ. იმით არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ, რომ ზავს უკარნახებდენ ძლევა-მოსილი იმპერიალისტები. უსინიდისო ომი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატების უსინიდისო დახმარებით, უსათუოდ უსინიდისო ზავით დასრულდებოდა. იგი ხელმოწერილი იყო ვერსალში, სადაც გამარჯვებულმა მტაცებელმა ყელში ხელი წაუჭირა დამარცხებულ მტაცებელს. გერმანია და მისი მოკავშირეები დაამარცხეს და დაანაწილეს.

რომ გაემართლებიათ გერმანელ ხალხის დამონავება, გამარჯვებულ ქვეყნების სოციალისტები ჰენდერსონი, რენოდელი, ვანდერველდე და სხვები იმეორებდენ თავიანთ ბურჟუაზიისამებრ: „გერმანია დასჯილია იმისათვის, რომ სწორედ მას უნდოდა ომი და მან გამოიწვია ომიო“. როგორი თვალთმაქცობა და გონების სიბრუნგეა! კიდეც რომ მართალი იყოს, რომ მხოლოდ ჰოგენცოლერნი და ჰაბსბურგი არიან პასუხისმგებელნი ომისათვის,—განა შეიძლება ხალხის დასჯა მისი მმართველ დინასტიის დანაშაულისათვის? განა შეიძლება გერმანელ ხალხის დახრჩობა მისი ბურჟუაზიის დანაშაულისათვის? ანტანტის სოციალისტებს სამართლიანად მიაჩნიათ მოუსპონ გერმანელ მუშებს, მათ ცოლებს და შვილებს პური და რძე იმისათვის, რომ გერმანიის ბურჟუაზიამ გაანადგურა და დაასახიჩრა მათი ძმები, ქმრები და მამები. მაგრამ საღათ მოაზროვნე და პატიოსან ადამიანს თუნდაც ერთი წუთით შეუძლია დაუშვას, რომ პასუხისმგებლობა ომისათვის ეკისრება მხოლოდ ერთ გერმანიას და ავსტრო-უნგრეთს? განა ჩვენ არ ვიცნობთ ინგლისის ბურჟუაზიის, კოლონიალურ ქვეყნების მჩაგვრელ ბურჟუაზიის გაუმაძღარი იმპერიალიზმს? განა ჩვენ არ ვიცით საფრანგეთის ბირჟის გაუმაძღრობა? განა მეფის რუსეთი, საფრანგეთთან და ინგლისთან კავშირში არ სცდილობდა ხელში ჩაეგდო სტამბოლი და სრუტეები? იმპერიალისტური ომი იყო ორივე ქვეყნის აღვირ-ახსნილ მადის შედეგი. ყველა ისინი იარაღს ისხამდენ ომისათვის. ყველას უნდოდა მსოფლიოს ხელ-ახალი განაწილება. ყველანი ილტვოდენ ახალ ტერიტორიის ხელში ჩაგდებისაკენ. ყველანი ილტვოდენ ნადავლისაკენ. ორივე ბანაკის მმართველი კლასები პასუხისმგებელნი არიან ომისათვის, მისი ოთხი წლით გაგრძელებისათვის, მისგან გამოწვეულ მსხვერპლის და ნგრევისათვის, მის ვერსალის ზავით დასრულებისათვის. არა ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოციალ-დემოკრატ პოლიტიკოსებს, პატრიოტ-პროფესიონალისტებს, ბურჟუაზიის დამქაშებს, იმპერიალიზმის დაქირავებულ და დაუქირავებელ აგენტებს და ვერსალის ზავის სოციალისტურ ნოტარიუსებს.

ერთი ქვეყანა არ იღებდა მონაწილეობას ვერსალის ზავში, არც როგორც გამარჯვებული და არც როგორც დამარცხებული. რევოლიუციონურ რუსეთის მშრომელმა მასებმა კომუნისტურ პარტიის მეთაურობით დაამხვეს ბურჟუაზია, ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება და გამოიყვანეს ქვეყანა ომის მოჯადოებულ წრიდან. ბოლშევიკების მთავრობამ გაალო მეფის დიპლომატიის რკინის კლიტულები და გამოაქვეყნა საიდუმლო დოკუმენტები, რომელიც ამჟღავნებდა ანტანტის მთავრობების ბოროტებას ჰოგენცოლერნის და ჰაბსბურგის მთავრობებთან ერთად. დღეს უკვე უდავოა, რომ, თუ რუსეთი განაგრძობდა ომს ანტანტასთან ერთად, როგორც ეს სოციალისტ-რევოლიუციონერებს და მენშევიკებს სურდათ, დაუძლურებული ქვეყანა ბოლოს და ბოლოს გადაიქცევოდა ბრიტანეთ-საფრანგეთის კოლონიათ, ჩრდილოეთ ინდოეთად. რუსეთი იხსნა მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ.

გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის მშრომელები ომის შემდეგ აგრეთვე აჯანყდენ. ძველი დინასტიები დაემხვენ. მაგრამ სოციალ-დემოკრატიამ შეაკავა მასები რევოლიუციის პირველ ეტაპზე. თუ 1918 წლის ოქტომბრის შემდეგ გერმანელმა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა შეინარჩუნეს სიმდიდრე და ძალა-უფლება, ამისათვის ისინი უნდა უმადლოდენ შეიდემანს, ებერტს, კაუცკის და გერმანიის სოც.-დემოკრატიის ყველა დანარჩენ ბელადებს. იმავე პირებმა, იმავე პოლიტიკოსებმა, იმავე გამცემლებმა, რომლებიც 4 წლის განმავლობაში დახმარებას უწევდენ სისხლისმსმელ ჰოგენცოლერნის დინასტიას გერმანიის ხალხის განადგურების საქმეში, შეაკავეს 1918 წელს მშრომელები ექსპლოატატორების დამხობისაგან. თუ ძირიან-ფესვიანად შერყეულ ევროპაში ომის შემდეგ კაპიტალისტებს შერჩათ ძალა-უფლება, ამაში მთელი დამსახურება მიუძღვის მეორე ინტერნაციონალს, ბურჟუაზიის დარაჯს, ფინია ძაღლს.

გერმანია ეკონომიურად დაქვეითებულია. ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ნამსხვრევები დაშორებული არიან ერთმანეთისაგან ეკლიანი მავთულით. კიდევ უფრო უარეს სურათს ვხედავთ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. საფრანგეთი წელში მოხარა სამხედრო ვალებმა და მილიტარიზმის სიმძიმემ. იტალია დასუსტდა და თავი ვერ დააღწია არევ-დარევას. ინგლისს მხოლოდ ოცნებობა შეუძლია ომის წინა დროის ეკონომიურ სიძლიერეზე. ქრონიკული უმუშევრობა, როგორც წურბელა სწოვს ევროპის სხეულს. ევროპის არმიის და ფლოტის რიცხვი არ არის იმაზე ნაკლები, რაც იყო 1914 წ. 1 აგვისტოს, ხოლო სამხედრო ხარჯები, ტეხნიკის გართულების მიხედვით, გაცილებით მეტია.

ომმა საშინლად დასცა ევროპის, ამერიკის და მთელი მსოფლიოს გლეხობა. თვითეული ქვეყნის ბურჟუაზია პირდებოდა თავის გლეხობას ომის შემდეგ სასოფლო-მეურნეობის აყვავებას. იგი არწმუნებდა გლეხს, რომ ამ „უკანასკნელ ომის“ შემდეგ გლეხებს აღარ დასჭირდებათ მილიტარიზმის მძიმე ტვირთის ტარება. გლეხობა ორნაირად მოტყუილებული აღმოჩნდა. თუ ომის დასაწყისში შეძლებული გლეხობა ასაღებდა თავის პროდუქტებს მაღალ ფასებში და იხდიდა ძველ ვალებს გაიაფებული ფულით, ვალიუტის შემდეგმა დაცემამ გლეხის მოგება საპნის ბუშტებად გადააქცია. ევროპის მეურნეობის დაცემამ შეამცირა მოთხოვნილება სასოფლო-მეურნეობის პროდუქტებზე და დასცა არა მარტო ევროპის გლეხობა, არამედ ამერიკელი ფერმერიც, რომელიც მასიურ განადგურებამდე მიიყვანა. ხოლო ამავე დროს მილიტარიზმი მეტ მოთხოვნილებას აყენებს და მეტად ფლანგავს ხალხის დოვლათს. სამხედრო ვალების სიმძიმე წელში გატეხით ემუქრება გლეხობას.

II

საფრანგეთის ჯარების მიერ წასული წლის იანვარში მომხდარი რურის ოკუპაცია იყო იმპერიალისტური ომის პირდაპირი გაგრძელება: გამარჯვებული სულს ხდიდა დამარცხებულს. ოკუპაციამ ახალი ზიანი მიაყენა ევროპის მეურნეობას და იგი გახდა გერმანიის საშინელ განადგურების და მისი ხალხთა მასების გაღატაკების წყაროდ. მაგრამ იმავე ოკუპაციამ დასცა ფრანკი და გამოამჟღავნა საფრანგეთის მეურნეობის უძლურება შეენარჩუნებია მძიმე ინდუსტრიის სამხედრო დიქტატურა ევროპაში. მაგრამ, როგორც შეეძლო საფრანგეთის ბურჟუაზიას, ყველა მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების შემდეგ გაეგზავნა თავისი არმია რურის დასაპყრობად? როგორ მოხდა ის, რომ საფრანგეთის და მთელი ევროპის მშრომელმა მასებმა ხელი არ შეუშალეს ახალ ყაჩაღურ თავდასხმას? მუშებო, ჩაუფიქრდით ამას და თქვენთვის ნათელი გახდება, რომ ბურ-

ქუაზიისათვის სოციალისტების ხელის შეწყობამ, როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში შესაძლებელი გახადა რურის სამხედრო ოპერაცია და, მაშასადამე, ევროპის შემდეგი განადგურება. ჩვენ ხელახლა ვიმეორებთ აქ: თუ საფრანგეთის და გერმანიის მუშათა მასები გაბედავდენ რევოლიუციონურ აჯანყებაში ისეთ სავე მსხვერპლის გაღებას, როგორიც რურის ოკუპაციამ გამოიწვია, ბურჟუაზია დამხობილი აღმოჩნდებოდა, მილიტარიზმი განადგურდებოდა და ევროპაში გაიმარჯვებდა მშვიდობიანობა და შრომა. მაგრამ სწორედ ისეთ საპასუხისმგებლო ჟამს, როდესაც საქმე ეხება ბურჟუაზიის ყოფნაარყოფნის და მშრომელთა ბედის საკითხს, სოციალ-დემოკრატები არღვევენ რევოლიუციონურ პროლეტარულ ფრონტის მთლიანობას, მერყეობა შეაქვთ მუშათა რიგებში, ადუნებენ სულის სიმტკიცეს, სურთ კომუნისტური პარტიის იზოლიაცია და ამზადებენ კაპიტალისტურ რეაქციის გამარჯვებას.

თითქოს იმ დიად დამსახურებათა აღსანიშნავად, რომელიც სოციალ-დემოკრატიას მოუძღვის კაპიტალიზმის წინაშე გასულ ათი წლის განმავლობაში, ევროპის ბურჟუაზია მოახლოვებულ სისხლისმღვრელ იუბილეს მოლოდინში, აყენებს თავის დამსახურებულ ვექილებს, გამობრძმედილ მენშევიკებს ხელისუფლების სათავეში ხან მთლიანად, ხან ნაწილობრივ. ინგლისში დღეს მესაჭეობს ე. წ. მუშათა პარტიის მთავრობა. საფრანგეთში—მემარცხენე ბლოკის სამინისტრო, რომელსაც არსებობა შეუძლია მხოლოდ სოციალისტების დახმარებით. გერმანიაში სოციალ-დემოკრატია ითვლება ბურჟუაზიულ მთავრობის ერთ-ერთ საყრდნობად. დანიაში ხელისუფლების სათავეში სდგას სტაუნინგის სოციალ-დემოკრატიული სამინისტრო. ბელგიაში მოსალოდნელია ხელისუფლების სათავეში ჩაუდგეს ვანდერველდეს პარტია, რომელიც გულმოდგინეთ იკაფავს გზას. იტალიაშიაც კი ბურჟუაზია ვერ ურიგდება მუსოლინის დიქტატურას და ამზადებს მის შეცვლას რეფორმისტულად. ფაშიზმი დროებით ჩამოდის სცენიდან, მან ვითომდა შეასრულა თავისი ამოცანა. ყველაზე მძიმე დღეებში, როდესაც პროლეტარიატმა შეარყია კაპიტალისტური წესწყობილების საფუძვლები, როდესაც ხელისუფლების აპარატი ხელიდან ეცლებოდა გზა-აბნეულ ბურჟუაზიას, ფაშისტურმა ბანდებმა გამოასწორეს მდგომარეობა, შესცვალეს თავიანთი მმართველობით გაკოტრებული სახელმწიფო, უკუაგდეს პარლამენტარიზმის და ლეგალობის ყოველგვარი პირობები და ბურჟუაზიისათვის სამსახურის გასაწევად მიმართეს ხოცვა-ჟლეტას, ცეცხლის გაჩენას და დარბევას. ფაშიზმი არის კაპიტალის მნიშვნელოვანი იარაღი სამოქალაქო ომის უაღრესად გამწვავების ჟამს. მეორე მისი იარაღია სოციალ-დემოკრატია. გადამწყვეტ მომენტში იგი აბნევს თავის ძალების მობილიზაციას, რათა ხელი შეუშალოს პროლეტარიატის თავდასხმას ბურჟუაზიულ სახელმწიფოზე. ჰკიცხავს რა ფაშიზმს გრძელ და უნაყოფო სიტყვებში, უსაყვედურებს რა ბურჟუაზიას მის სიმკაცრისათვის, იგი ამავე დროს ურჩევს მუშებს თავი შეიკავონ „სამოქალაქო ომის" საშინელებათაგან, ატყუებს, პირმოთნეობს, აბნელებს შეგნებას, ადუნებს ნებისყოფას, სულიერად ანიარაღებს პროლეტარიატს და ბოლოს და ბოლოს ფაშისტების ხელში აგდებს მას. ასე იყო ჰუნგრეთში; ასე იყო იტალიაში, ასე იყო გერმანიაში.

როდესაც ბურჟუაზია რწმუნდება, რომ რევოლიუციონური იერიში მოგერიებულია ფაშიზმის და სოციალ-დემოკრატიის გაერთიანებული ძალღონით, მაშინ ის დროულად სთვლის აღადგინოს ნაკლებად სისხლის-მღვრელი, ნაკლებად პროვოკაციული, უფრო ნორმალური, ე. ი. ლეგალობის ძონძებით დაფარული რეჟიმი, და ჩვენ ვხედავთ დეკორაციის შეცვლას. ჯერ კიდევ ავანსცენაზე იყვნენ ფაშისტები—რევოლვერით, ხანჯლით, ანთებული ფიტილით, ხოლო სოციალ-დემოკრატია თავის დამხმარე როლს ასრულებდა კულისებში, დღეს, როდესაც უშუალო საფრთხე თითქო თავიდანაა აცილებული, ბურჟუაზია ჩქარობს გაიყვანოს ფაშისტები სცენიდან და კულისებიდან. ავანსცენაზე გამოიყვანოს რადიკალები, რეფორმისტები, მენშევიკები—ლეგალობის, დემოკრატიის და მშვიდობიანობის ეს მოციქულები. ბურჟუაზიას ეუბნება მენშევიკს შენმა ფაშისტურმა ბიძაშვილებმა არ მიიღეს საჭირო ზომები; უნდა შევანელოთ და შევამსუბუქოთ მათი მუშაობის შედეგები; უნდა წავშალოთ ძალიან მკაფიო სისხლიანი ნაკვალევი, ნუგეშის ბალზამი უნდა დავაპკუროთ ღია ჭრილობებს, უნდა გავაღვიძოთ ყველაზე უფრო სასოწარკვეთილ გულში ახალი იმედები ან ძველი ილიუზიები, წინააღმდეგ შემთხვევაში უიმედობა გადაიქცევა სასოწარკვეთილებად, ხოლო სასოწარკვეთილება—რევოლიუციონურ აღშფოთებად, აი რატომ და რისთვის აყენებენ ხელისუფლების სათავეში ან უახლოვებენ ხელისუფლებას მაკდონალდებს, ბლიუმებს, საუნინგებს, ვანდერველდებს, შეიდემანებს და ველსებს.

მილიტარიზმი ამავე დროს ავტომატიურად განაგრძობს თავის მუშაობას. მაკდონალდის მართვა-გამგეობის დროს შენდება ახალი კრეისერები, ტანკები, იზრდება საჰაერო სამხედრო ფლოტი, მრავლდება საომარი ქიმიური საშვალებანი. რისთვის ხდება ყველაფერი ეს? იქნებ ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლისათვის კაპიტალის წინააღმდეგ? არა, ინგლისის კაპიტალის ძალაუფლების განსამტკიცებლად ინდოეთში, ეგვიპტეში, ირლანდიაში და ინგლისის პროლეტარიატზე, არავითარ დათმობაზე არ მოდის რა მშრომელების მიმართ ბურჟუაზია ამავე დროს ამაგრებს თავის საჰაერო სამხედრო მანქანას მენშევიკების ხელებით. ერიოს საფრანგეთის სამინისტრო, ეყრდნობა რა სოციალისტებზე, განაგრძობს მილიერან პუანკარეს სამხედრო და საერთაშორისო პოლიტიკას. როდესაც ჩვენ, კომუნისტები, ვამტკიცებდით, რომ პასუხისმგებლობა რურის ოკუპაციისათვის აწევება არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ სოციალ-დემოკრატიასაც, მენშევიკები პროტესტს აცხადებდენ. ეხლა მთელი მსოფლიო ხედავს, რომ რურის ოკუპაცია გრძელდება ერიოს, მაკდონალდის, ბლიუმის, ვანდერველდეს, ებერტის და ველსს შორის დადებულ ხელშეკრულების შემდეგაც. ჩვენ გავხდით მოწამენი იმისა, რომ მეორე ინტერნაციონალი გადაიქცა რურის ოკუპაციის ინტერნაციონალად.

კონსერვატორები, ფაშისტები, რადიკალები, მენშევიკები მოდიან და მიდიან, ხოლო მილიტარიზმი რჩება. იგი ამრავლებს თავის მარაგს, იგი აუმჯობესებს თავის იარაღებს, იგი იმუშავებს ახალ გეგმებს, იგი იცდის, სანამ ხალხის ხსოვნაში არ წაიშლება ცხოველი მოგონება უკანასკნელ ომის შესახებ, სანამ სოციალ-დემოკრატები შეარიგებდენ მუშათა მასებს იმ აზრთან, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო შეურყეველია. მაშინ იგი აშკარად გამოვა მსოფლიო ძარცვა-გლეჯის გზაზე. მაშინ ჩამორეკავს ახალი იმპერიალისტური ომის საათი.

### III.

ახალი ომის მიზეზი და საბაბი გარდუვალი აუცილებლობით გამომდინარეობს უკანასკნელ ომიდან და ვერსალის ზავიდან. საფრანგეთის მმართველი კლასები სულ უფრო და უფრო გრძნობენ, რომ მათ მიერ ევროპაში შექმნილი ტერორის რეჟიმი დიდხანს ვერ გაგრძელდება. საფრანგეთის ბურჟუას, რეაქციონერსაც და რადიკალსაც ერთნაირად ეშინიათ გერმანიის რევანშის (სამაგიერო ომის) და ამავე დროს იწვევს და ამზადებს მას. თავის მხრივ გერმანელი ბურჟუაზია მიდის რა დათმობაზე ხალხის ხარჯზე, მოუთმენლად მოელის იმ დროს, როდესაც რევანშის საათი ჩამორეკავს. ინგლისის და საფრანგეთის ევროპიული და კოლონიალური ანტაგონიზმი დღითიდღე მწვავდება: დიპლომატიური ხელშეკრულებები და შეთანხმებანი ფარავენ ამ პროცესს, მაგრამ ვერ ასუსტებენ მას ორივე მოკავშირის სამხედრო პროგრამა, განსაკუთრებით საავიაციო და ქიმიურ ძალთა პროგრამა მუშავდება მომავალ ინგლის-საფრანგეთის ომის ვარაუდით. იმ დროს, როდესაც ერიო პაციფისტურად ელოლიავება მაკდონალდს, პარიზის გენერალური შტაბი იმუშავებს ლონდონზე მომავალ თავდასხმის გეგმებს, ხოლო ბრიტანეთის შტაბი—შეხვედრის გეგმას.

მცირე სახელმწიფოებმა, რომლებიც ომამდე არსებობდენ, დაჰკარგეს დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნასახიც კი, ხოლო ახალი სახელმწიფოები, ომის შემდეგ წარმოიშვენ დამოკიდებულების ბორკილებით საშუალო და მცირე სახელმწიფოები ქმნიან სხვა და სხვა ჯგუფებს დიდი სახელმწიფოების ჩვენებით—ევროპის კონტინენტის ცენტრში მდებარე სახელმწიფოები მიილტვიან საფრანგეთისაკენ,—სწორედ ისე, როგორც კატორღელი მიილტვის ციხის ზედამხედველისაკენ. ევროპის სანაპიროებზე მდებარე სახელმწიფოები ქედს იხრიან ინგლისის წინაშე. ამგვარად როზგების არჩევანი ხდება არა თავისუფალი სურვილით, არამედ მცირე სახელმწიფოების საერთო მდგომარეობის მიხედვით. ნეიტრალიტეტის უნიადაგობა საკმაოდ დამტკიცდა უკანასკნელ ომის დროს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ახალი ომი პირველი დღიდანვე სისხლის მორევში ჩაითრევს მცირე სახელმწიფოების უმრავლესობას, მცირე ანტანტის ქვეყნების, ბალკანეთის ან ბალტიის სახელმწიფოების მილიტარიზმი ითვლება დიდი სახელმწიფოების დამხმარე რესურსად და ამავე დროს დამოუკიდებელ საშიშროების წყაროთ მცირე სახელმწიფოებს შორის.

უძლიერესი მსოფლიო ანტაგონიზმი ნელა, მაგრამ დაჟინებით ეძებს იმ ხაზს, რომელზედაც დიდი ბრიტანეთის იმპერიის ინტერესები ეჯახებიან ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ინტერესებს. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა, რომ ორივე ამ გიგანტებს შორის მიღწეულია მტკიცე შეთანხმება. მაგრამ მოჩვენებითი სიმტკიცე შენარჩუნებული იქნება მხოლოდ მანამ, სანამ ჩრდილოეთ-ამერიკის რესპუბლიკის ეკონომიური აღორძინება სწარმოებს უმთავრესად შინაურ ბაზრის საფუძვლებზე. დღეს ამას აშკარად ეღება ბოლო. აგრარული კრიზისი, რომელიც წარმოიშვა ევროპის განადგურების გამო, არის უკვე მოახლოვებულ სავაჭრო-სამრეწველო კრიზისის წინამორბედი. ამერიკის საწარმოვო ძალებმა ფართო გასავალი უნდა ეძებონ მსოფლიოს ბაზარზე. შეერთებულ შტატების საგარეო ვაჭრობა შეიძლება განვითარდეს უწინარეს ყოვლისა დიდი ბრიტანეთის ხარჯზე. ამერიკის სავაჭრო და სამხედრო ფლოტი—ბრიტანეთის ფლოტის ხარჯზე, ინგლის—ამერიკის შეთანხმების პერიოდი შეიცვლება თანდათან გამწვავებულ ბრძოლით, რომელიც თავის რიგად მოასწავებს უდიდეს ომის საფრთხეს.

იაპონიის და შეერთებულ შტატების ანტაგონიზმი ძალიან მწვავდება. იაპონიის მიწის ძვრამ შესცვალა ძალთა განწყობილება, მაგრამ ვერ შეასუსტა შუღლი. შეერთებულ შტატებში ყვითელი ემიგრაციის აკრძალვა წყნარ ოკეანეს იმპერიალისტების ბრძოლას აძლევს რასიულ ბრძოლის ხასიათს. იმ შემთხვევში, თუ შეერთებულ შტატებსა და ინგლისის შორის მოხდა შეტაკება, იაპონიის მილიტარიზმის როლი უფრო აქტიური იქნება, ვიდრე წარსულ იმპერიალისტურ ომის დროს.

შეერთებულ შტატების ბურჟუაზიის უთვალავი სიმდიდრე წარმოადგენს დღეს მძლავრ ასაფეთქებელ მასალას მსოფლიო მაშტაბით. შეერთებულ შტატების დროებით კარჩაკეტილობას ბოლო ეღება. ჩრდილოეთ ამერიკის კაპიტალს ესაჭიროება გასაქანი ყოველ მიმართულებით. ერთ ერთი მისი გზა მიდის სამხრეთისაკენ. მექსიკაზე თავდასხმა უნდა გაძლიერდეს სამხრეთ ამერიკაში თანდათან შეჭრის მიხედვით და მანამ სანამ განიდევნება იქიდან ევროპის კაპიტალი. შეერთებულ შტატების მილიტარიზმის არა მარტო ზღვაზე, არამედ ამერიკის კონტინენტზედაც აქვს უფრო აქტიური შეტევითი ხასიათი.

რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდა აღმოსავლეთში, რასაც ჩვენ ვამჩნევთ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, სულ უფრო და უფრო აძლევს იმპერიალისტურ სახელმწიფოების კოლონიალურ ბატონობას აშკარა სამხედრო ძალადობის ხასიათს.

ინდოეთის დამონავებულ მასების კონსტიტუციონური შემთანხმებელი ილიუზიები თანდათან იფანტება. ნაციონალურ ლიბერალიზმის და წვრილ ბურჟუაზიულ უტოპიზმის პარტია თანდათან ისპობა. რევოლიუციონური მოძრაობა ღრმავდება და ფეხს იკიდებს ფართო მასებში. საჭიროა მტკიცე, ცენტრალისტური რევოლიუციონური პარტია, რომელიც შესძლებს ამ მოძრაობის მეთაურობას და ბრიტანეთის იმპერიალიზმისათვის ლახვარის ჩაცემას.

დაქუცმაცებულ ჩინეთში იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა დაამყარეს რეჟიმი, რომელიც დაჩრდილულია სამხედრო ოკუპაციით დაქირავებულ ადგილობრივ ჯარების საშუალებით. ჩინეთის ხალხის ლტოლვას მიაღწიოს გაერთიანებას და დამოუკიდებლობას, ყოველ ნაბიჯზე ეღობება იაპონიის, ამერიკის და ევროპის მტაცებელთა წინააღმდეგობა. მაკდონალდის ელჩი პეკინში მოითხოვს ჩინელ ჯარის კაცის დასჯას, რომელმაც გაბედა სეირნობა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც სუფთა ჰაერით სუნთქვის უფლება აქვთ მხოლოდ თეთრკანიან ექსპლოატატორებს. სამართლიანი სიძულვილით ივსება ჩინეთის მრავალ-მილიონიან მასების გული, აქაც, ისე როგორც ინდოეთში. საშინელ ტანჯვა-წამებაში იქმნება რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია გაანთავისუფლოს ჩინეთი უცხოეთის და საკუთარ ქვეყნის მოძალადეებისაგან.

საფრანგეთი, რომელმაც გააფართოვა თავის კოლონიების საზღვრები, სცდილობს კიდევ უფრო გაამრავლოს თავის მილიტარიზმის წყაროები და იზიდავს კაპიტალის არმიაში არა მარტო არაბებს, არამედ ზანგებსაც. გაწვრთნილი ფერად-კანიანი მასა უნდა გახდეს არა მარტო მომავალ ომების რეზერვად, არამედ შავი და ყვითელი პოლკები უნდა გადაიქცენ ბურჟუაზიის ხელში პროლეტარულ რევოლიუციის ჩაქრობის იარაღად ევროპაში.

მილიტარიზმის ბაზაც ფართოვდება ისე, როგორც რევოლიუციის ბაზა.

### IV

ომი დღესაც თავს დასტრიალებს კაცობრიობას მხოლოდ ფარულად. რას ნიშნავს გერმანიის გადასახადების საკითხის ხელახლა გადაჭრა—„ექსპერტთა გეგმა"—თუ არა ომის მეთოდების გამოყენებას მთავარ ეკონომიურ საკითხების გადაჭრის დროს? ამერიკა, რომლის ჯიბეები გავსილია ევროპის ოქროთი, ეყრდნობა საფრანგეთის სამხედრო ძალას და განსაზღვრულ სამეურნეო რეჟიმში აყენებს გერმანიას იმისათვის, რომ იგი დამარცხებული გამოვიდა ომიდან. მხოლოდ მატყუარებს შეუძლიათ სთქვან, რომ ექსპერტთა გადაწყვეტილება არის საკითხის მშვიდობიანი, დემოკრატიული, პაციფისტური გადაჭრა. ნამდვილად კი, ანტანტა უკარნახებს გერმანიას თავის გადაწყვეტილებას და მიშვერილი აქვს მის საფეთქელზე ბრაუნინგი. ჩვენ გვეუბნებიან, რომ თითქოს ევროპის მეურნეობის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალისტურ ძალთა თავისუფალ. შეჯიბრების დროს და ამით სურთ დაჰგმონ მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის იდეა. ნამდვილად კი ევროპის მეურნეობის მთავარი საკითხი იჭრება

გერმანიაზე განუწყვეტელ სამხედრო ძალდატანებით, იმ გერმანიაზე, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ იყო ევროპის ხელმძღვანელი კაპიტალისტური ქვეყანა.

გერმანიის ბურჟუაზია სჩადის ამას იმიტომ, რომ ფიქრობს უცხოეთის კაპიტალის და, თუ საჭირო იქნება უცხოეთის შეიარაღებული ძალის დახმარებით გაუმკლავდეს გერმანიის პროლეტარიატს. იგი თინდათან უქერს მას მუხრუჭებს,ართმევს რევოლიუციის უკანასკნელ მონაპოვარს, ადიდებს სამუშაო დღეს, აძლიერებს შრომის ინტენსივობას და ამნაირად სურს აიძულოს გერმანელი მუშა ახალი ტეხნიკის და წარმოების კონცენტრაციის პირობებში, მეორეჯ განიცადოს პირველ დაწყებით დაგროვების ყოველგვარი ტანჯვა-წამება და სიდუხჭირე. გერმანიის პროლეტარიატის დაუძლურებით ევროპის ბურჟუაზიას მიეცემა საშუალება გერმანულ კონკურენციის შიშის ქვეშ ამყოფოს დანარჩენ ქვეყნების მუშათა კლასი. ბოლოს ამერიკის კაპიტალი ემზადება, თავის ექსპერტების საშუალებით „კონტროლი გაუწიოს“ ევროპა, ე. ი. ფაქტიურად დაეპატრონოს მას, როგორც ამერიკის სხვადასხვა მაგნატები კანტროლს უწევენ ათეულ ტრესტებს და რკინის გზებს. ამასთანავე ის ფიქრობს ევროპაში აღებულ სარგებლით ასაზრდოოს ამერიკის მუშათა კლასის მაღალი ფენები, მისი არისტოკრატია, რომელსაც ხელმძღვანელობს ყველაზე ყვითელი მოღალატეების წრიდან გომპერსი, და დაიმორჩილოს მრავალი მილიონი პროლეტარი, ემუქრება რა მათ განადგურებულ ევროპიდან ახალი იმიგრაციით.

საფრანგეთის მილიტარიზმის საშუალებით ინგლის-საქსონიის კაპიტალის მიერ ევროპის მშრომელ მასების დამონავების ეს გეგმა მიღებულია და მოწონებული მეორე ინტერნაციონალის პარტიების მიერ. ანტანტის სოციალისტები წარმოადგენენ საფარავს თავის ბურჟუაზიის ძარცვა გლეჯის პოლიტიკისათვის, რომელსაც ისინი მხარდამხარ მისდევენ. გერმანიის სოციალ-დემოკრატი ფიქრობს, რომ მტკიცე კაპიტალისტურ წესწყობილების აღდგენა მოუტანს მას გამარჯვებას კომუნისტებზე, ამავე დროს მას საშუალება ეძლევა თავისი თანამშრომლობა გერმანიის ბურჟუაზიასთან ახსნას იმით, რომ საჭიროა გარეშე მტრის გაერთიანებული ძალ-ღონით მოგერიება. კომუნისტურ შეთქმულებათა და საერთაშორისო „ჩეკა“-ს შესახებ ატეხილ განგაშის დროს, ჩვენ თვალწინ მზადდება კაპიტალის უდიდესი შეთქმულება ევროპის და მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინააღმდეგ. შეთქმულების ორგანიზატორია საფინანსო კაპიტალი გენერალური შტაბით ნიუ-იორკში და განყოფილებით ლონდონში. უმთავრესი აღმასრულებელი მუშაობა დაკისრებული აქვთ საფრანგეთის ბირჟის მარშლებს. შეთქმულების დამცველებათ გამოდიან სოციალ-დემოკრატები და ამსტერდამის პროფესიონალისტები. კაპიტალის ექსპერტებს დახმარებას უწევენ ღალატის ექსპერტები.

V.

ხელახლა ვიკითხოთ: რაღა უშლის ხელს ექამდი მუშებს და გლეხებს ერთხმათ აღსდგენ მათ დამღუპველ მილიტარიზმის წინააღმდეგ? საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია, მენშევიკები, მეორე ინტერნაციონალი, პროფკავშირების ამსტერდამის გაერთიანების ბიუროკრატია. ასეთია იმპერიალისტური ომის მთავარი გაკვეთილი. ასეთია წარსული ათი წლის ძირითადი დასკვნა.

ამას ჩვენ, კომუნისტურ ინტერნაციონალში გაერთიანებული მუშები, ვაცხადებთ საქვეყნოთ. ჩვენ გვინდა რომ ჩვენი ხმა მისწვდეს ყველა ქვეყნების მშრომელებს. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა ხმამ მიაღწიოს ქალაქის და სოფლის თვითეულ მშრომელ მუშას, მშრომელ ქალს. ჩვენ გვინდა, რევოლიუციონური ცეცხლი დავანთოთ ყველა დაჩაგრულთა გულში და გავაფრთხილოთ ისინი: შეხედეთ ბურჟუაზია ამზადებს ახალ ომს, სოციალ-დემოკრატია კი ხრწნის თქვენს აზრს იმ მიზნით, რომ უფრო ადვილათ გაგცეთ თქვენ.

მუშებო და მუშა ქალებო! ყური დაუგდეთ, შეხედეთ და ჩაუფიქრდით. რამოდენიმე კვირის წინათ პროფკავშირების ამსტერდამის ინტერნაციონალის ბელადები ვენაში მეორე ინტერნაციონალის ბელადებთან ერთად იხილავდენ საკითხს სამხედრო საშიშროების შესახებ. ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში უდგანან ვილიამსები, ჟუო, გროსსმანები. მაკდონალდები, ებერტები, ნოსკე, ვანდერველდე, იძულებული იყო განეხილა საკითხი ომის შესახებ მხოლოდ იმიტომ, რომ ჰაერი ომის სუნით არის გაჟღენთილი. და აი ჩვენ გვესმის, თუ როგორ პირდებიან მშრომელებს ეს ვაჟბატონები იბრძოლონ ომის წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალებით, საერთო გაფიცვითაც კი. ნუ თუ თქვენ დაუჯერებთ ამ საზიზღარ კომედიას, რომელშიაც იგივე აქტიორები თქვენს წინაშე მეორეთ თამაშობენ იმავე მოღალატურ როლს? 1912 წელში ბაზელში შემდგარ საერთაშორისო ყრილობაზეც ხომ ისინი დიდის ზეიმით ფიცს სდებდენ იმის შესახებ, რომ არაფრის წინაშე არ დაიხევდენ უკან, რომ თავიდან აეცილებიათ ომი; ისინი ფიცს სდებენ იმისათვის, რომ შემდეგ ბურჟუაზიის ყველაზე უფრო ერთგულ და თავგამოდებულ დამხმარეებათ გამხდარიყვენ. ომის შემდეგ ისინი კაპიტალს ემსახურებოდენ მინისტრების, ან ერთგული დეპუტატების ან და პროფესიონალური კავშირების პატრიოტული ბელადების სახით, ისინი ხელს უშლიდენ და ხელს უშლიან მუშების ეკონომიურ გაფიცვას.

ისინი ხმას აძლევენ სამხედრო ბიუჯეტს. და ისინივე პირობას იძლევიან, რომ იბრძოლებენ ომის წინააღმდეგ. შეიძლება განა დავიჯეროთ, რომ მაკდონალდი, რომელიც თავისი ბურჟუაზიის დავალებით და მუშათა მასების ფულებით აშენებს ჯავშნიან გემებს, ტანკებს და თვითმფრინავ აპარატებს, მუშებს მოუწოდის გაფიცვისაკენ იმ მომენტში, როდესაც ბურჟუაზია გადასწყვეტავს მოძრაობაში მოიყვანოს მაკდონალდის მიერ აშენებული თვითმფრინავები, ტანკები და კრეისერები? შეიძლება განა დავიჯეროთ, რომ ვანდერველდე, რომელიც მეფეს ეხმარებოდა ომის წარმოებაში და რომელმაც ხელი მოაწერა ვერსალის ხელშეკრულებას, ბელგიელ მუშებს მოუწოდოს აჯანყებისაკენ იმ მომენტში, როდესაც ბელგიის ბურჟუაზია საჭიროთ დაინახავს ჩაერიოს ომში ვერსალის მონაპოვართა დასაცავად? შეიძლება განა ვიფიქროთ და დავიჯეროთ, რომ ბლიუმი და ჟუო, პატრიოტული სოციალიზმის და სინდიკალიზმის ბელადები საფრანგეთში, რომლებიც მხარს უჭერენ ეხლა რურის ოკუპაციას, მოისურვებენ საერთო გაფიცვისაკენ მოუწოდონ მუშებს იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის ბურჟუაზია რურის ოკუპაციის განმტკიცების მიზნით იძულებული იქნება იარაღს მიმართოს? მკვლელი ჯერ კიდევ არ მოშორებია თავის მსხვერპლს, დანიდან ჯერ კიდევ სისხლი სწვეთავს, და ის დიდის რიხით პირობას სდებს, რომ ის გამოვა ჩადენილი მკვლელობის სასტიკ შურის მაძიებლათ. სად იქნება ისეთი ბრმა, სად იქნება ისეთი ჭკუა დაკარგული ადამიანი, რომელიც მას დაუჯერებს?

მშრომელებო და დაჩაგრულებო, შეხედეთ, ყური დაუგდეთ, ჩაუფიქრდით. სოციალ-დემოკრატებს ომის ათი წლის თავზე განზრახვა აქვთ მოაწყონ მშვიდობიანობისათვის ბრძოლის მასკარადი, რომელიც [illegible] პროტესტისა სამხედრო საშიშროების წინააღმდეგ. მათ უნდათ თქვენი ყურადღების დაქსაქსვა, თქვენი სიფრთხილის შესუსტება, რომ ამით უფრო უკეთ შეგიკრათ ხელ-ფეხი და მიგცეთ მილიტარიზმის ხელში. ნუ დაუჯერებთ მათ, გამოამჟღავნეთ მათი შავი ზრახვები. შეეკითხეთ მათ ყოველ კრებაზე: თუ მათ სურთ ომის წინააღმდეგ ბრძოლა, მაშინ რატომ აძლევენ ისინი ხმას სამხედრო ბიუჯეტს, რატომ უჭერენ მხარს ბურჟუაზიულ მთავრობას, რატომ ეხმარებიან კაპიტალისტურ სახელმწიფოს?

ათი წლის გამოცდილებამ ტყუილა არ უნდა ჩაიაროს, ამ ხნის განმავლობაში ჩვენ თვალყურს ვადევნებდით სოციალისტურ და ბურჟუაზიულ პაციფისტებს დედა-მიწის ყველა კუთხეებში. მათ ყველას ერთნაირი ფასი აქვთ. განა ჩვენ ვერ ვხედავდით ამერიკის პაციფისტებს, რომლებიც ომის პირველ წლებში წმინდა ცრემლებს ღვრიდენ ევროპაში დაწყებულ სისხლის ღვრის გამო, შემდეგ კი ყველა ძალებით ეხმარებოდენ ვილსონს ევროპის ჩაკვლაში რომ უზრუნველეყოთ კაპიტალისტურ ამერიკისათვის გაძლიერების და ევროპის ხარჯზე გასუქების საშუალება? განა ჩვენ ვერ ვხედავდით საფრანგეთის პაციფისტების, რადიკალების და სოციალისტების მუშაობას, რომლებიც მასონურ ლოჟებში ქადაგობდენ ყველა ადამიანების ძმობას, 1915 წ. 4 აგვისტოს შემდეგ კი გახდენ გერმანიის აოხრების და დანაწილების მქადაგებლათ? განა ჩვენ ვერ ვხედავდით გერმანიის სოციალ-პაციფისტებს, როგორც კაუცკის, ჰილფერდინგს და სხვებს, რომლებიც მშვიდობიანობის დროს ცრემლებით ელიან ომს და ომის დროს კი ელიან მშვიდობიანობას, ეს საბრალო მშიშრები ვილსონსაც კი ებღაუჭებოდენ, როგორც ეხლა ებღაუჭებიან ისინი მაკდონალდის იმპერიალისტური ნოტების თაფლისფერ ფორმას, იმ მაკდონალდს, რომელიც თავის პაციფიზმს ავარჯიშებს გერმანიის ზურგზე. საფრანგეთის ბურჟუაზიულ პაციფისტ ერიოსთან ერთად მაკდონალდმა აღადგინა ანტანტის კონტროლი გერმანიის შეიარაღებაზე, ამავე დროს კი ის აძლიერებს დიდი ბრიტანეთის შეიარაღებას. პაციფისტები მშვიდობიანობის მომხრე არიან მშვიდობიანობის დროს. ისინი უსიტყვოთ ემხრობიან თავის მთავრობებს ომის დროს. საერთაშორისო მასშტაბით ისინი მუხლით ხოხავენ ძლიერთა წინაშე და ეხმარებიან ამ უკანასკნელთ სუსტთა განადგურებაში. ომმა და რევოლიუციონურმა ტალღებმა საბოლოოთ გახრწნა სოციალისტური პაციფისტები. მათი წინანდელი გულუბრყვილობიდან ნატამალიც კი არ დარჩენილა. ეხლა ისინი—საქმის ხალხია, რომლებიც განუყრელათ დაკავშირებული არიან თვითეული ქვეყნის მმართველ ფინანსიურ და სამხედრო პირებთან და რომლებიც შეგნებულათ მიმართავენ პაციფისტურ ფრაზას შეუგნებელ ხალხის მოსატყუილებლათ.

პაციფისტების მთავარი სამოქმედო ასპარეზია ეხლა ბრძოლა რევოლიუციისა, კერძოთ კი, წითელი არმიის წინააღმდეგ. პაციფისტები წინააღმდეგი არიან რევოლიუციონური ძალადობის, აჯანყების და სამოქალაქო ომის, მაგრამ ბურჟუაზია შეიარაღებულია, მუშა კი უიარაღოა, იბრძვიან რა მუშების შეარაღების წინააღმდეგ, პაციფისტები მხარს უჭერენ კაპიტალისტურ მილიტარიზმს და ამით გზას უხსნიან მომავალ ომს. მით უფრო საზიზღარია მათი დაყრდნობა ჰუმანიურობაზე და კულტურაზე. როდესაც პაციფისტებს უსაყვედურებენ იმას, რომ ისინი მხარს უჭერენ თავისი ბურჟუაზიის მილიტარიზმს, ისინი ყოველთვის მიუთითებენ წითელ არმიაზე, ამით მათ უნდათ სთქვან, რომ წითელი არმიის არსებობა, რომელიც შექმნილია რუსეთის მშრომელების მიერ იმპერიალიზმისაგან თავის დაცვის მიზნით, ამართლებს კაპიტალისტურ სახელმწიფოების შეიარაღებას საერთაშორისო მტაცებლობისა და რევოლიუციის ჩაქრობის მიზნით. პაციფისტები სდუმდენ, როდესაც საფრანგეთის, ინგლისის, შეერთებული შტატების და სხვა ქვეყნების შეიარაღებულმა რაზმებმა დაიპყრეს ოდესა, მურმანსკი, არხანგელსკი, ვლადივოსტოკი. სამაგიეროთ მათ აღშფოთებდათ ძალადობა, რომელსაც რევოლიუცია იჩენდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. პაციფისტები ეხლა ეყრდნობიან იმას, რომ სამხედრო ინტერვენციები გათავდა, და რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები იძულებული არიან იცნონ საბჭოთა რესპუბლიკა. მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მუშების და გლეხების სახელმწიფოს აღარ მოელის სამხედრო საშიშროება. კომუნისტური პარტიების ზრდა ამტკიცებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, მაგრამ, მეორეს მხრივ, ის აფიქრიანებს და აბოროტებს იმპერიალისტებს. იმ მომენტში, როდესაც რევოლიუციონური საშიშროება ისევ უშუალოთ მოახლოვებული იქნება, მას შეუძლია გამოიწვიოს იმპერიალისტების გრანდიოზული სამხედრო ინტერვენცია. ჩვენ ამას წინათ დავინახეთ, თუ როგორ გაართულა კომუნისტური საშიშროებით გამწვავებულმა გერმანიის მთავრობამ დამოკიდებულება საბჭოთა რესპუბლიკასთან. ეს წინასწარმეტყველებაა მთელი შემდეგი განვითარებისათვის. კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა რესპუბლიკის შორის შესაძლებელია შეთანხმება, მაგრამ არა შერიგება. როგორც მაკდონალდის და ერიოს მთავრობები იძულებული იქნებიან თავის დროზე ადგილი დაუთმონ უფრო გაბედულ რეაქციას, ისევე კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული ხელშეკრულებები განსაზღვრულ მომენტში შეიცვლება ახალი ინტერვენციებით. აი რატომ არის საჭირო წითელი არმია და წითელი ფლოტი. ისინი იცავენ საერთაშორისო რევოლიუციის უდიდეს პლაცდარმს. საბჭოთა რესპუბლიკა რომ დაეცეს, მაშინ ბურჟუაზიის საქმე მოგებული იქნება რამოდენიმე ათეული წლით. კაპიტალის შეტევას პროლეტარიატზე აღარ ექნებოდა საზღვარი. მაგრამ ეს არ მოხდება, რადგან საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები შეიარაღებული არიან. წითელი არმია არის დაჩაგრულთა საფარი და აჯანყებულთა მახვილი!

VI

იმ დროს როდესაც ევროპის მწარმოებელი ძალები შეჩერებული არიან თავის განვითარებაში, სამხედრო ტეხნიკა განუწყვეტლივ განაგრძობს მუშაობას. ამზადებენ ყუმბარების არაჩვეულებრივათ შორსმტყორცნელ ზარბაზნებს. ტყვიისმფრქვეველები და ავტომატები მრავალჯერ აძლიერებენ ქვეითა ჯარების ცეცხლის ძალას. მხრჩოლავი გაზები მეორე რიგში აქცევენ დინამიტს. ავიაცია ქიმიასთან დაკავშირებით არაჩვეულებრივ აფართოვებს ომის გამანადგურებელ მოქმედების არეს. განსხვავება არმიასა და მშვიდობიან მოსახლეობის შორის უქმდება. სანაპირო სიმაგრეები და კუნძულებრივი მდგომარეობა უკვე აღარ არის საკმარისი თავდაცვისათვის. ადამიანების თავმოყრის უდიდესი ადგილები, როგორც პარიზი და ლონდონი, ადვილათ შეიძლება დამარცხებული იქნენ მაღლიდან. უკანასკნელი ომის საშინელებანი ბჟუტავ სინათლეთ სჩანს მოსალოდნელი ქარიშხალის გაელვებასთან შედარებით. კაპიტალისტური საზოგადოების მთელი ტეხნიკური სიძლიერე და მისი სოციალური ბარბაროსობა, მისი წინააღმდეგობათა აუცილებლობა, მისი მმართველი კლასების გაბოროტება ერთმანეთის წინააღმდეგ და ყველასი ერთად პროლეტარიატის წინააღმდეგ იღებს მხრჩოლავი და ასაფეთქებელი მასალების განუსაზღვრელი მასის სახეს, რომელიც მზათ არის თავს დაატყდეს უბედურ კაცობრიობას. ახალი ომი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს გლეხების და ფერმერების განადგურება-აოხრებას, სოფლების ხალხისაგან დაცარიელებას და უდაბნოთ გადაქცევას, იმ მიწების უდაბნოთ და სასაფლაოთ გადაქცევას, რომელთაც მრავალი წლების განმავლობაში ამუშავებდა გლეხთა თაობა. ევროპისათვის საერთოდ ის იქნება კულტურის დაღუპვა და ყველა განმათავისუფლებელ იმედების დაკარგვა, რომელთა გულისათვის უკვე იბრძოდა პროლეტარიატის რამოდენიმე თაობა.

ყველაფერი ის, რაც ხდება ეხლა ადამიანთა საზოგადოებაში, მეურნე-

ობის, პოლიტიკის, მეცნიერების, ხელოვნების სფეროში უკანა რიგში სდგება გიგანტიურ ამოცანასთან შედარებით, თავიდან აცილებული უნდა იქნეს ახალი ომი და ამით უნდა გადავარჩინოთ კაცობრიობა გადაგვარებისა და დაღუპვისაგან. ეს კი შეუძლია მხოლოდ მშრომელებს რევოლიუციონური პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. ვერავითარი რეპრესიები, მილიტარიზმის ვერავითარი ძალები ვერ მიაღწევენ მიზანს, თუ პროლეტარიატი ერთიანი ფრონტით აღიმართება ომის წინააღმდეგ. სიკვდილის მთესველი მანქანები მკვდარია იმ დრომდი, სანამ მათ მოძრაობაში არ მოიყვანს ადამიანი. უმეტეს შემთხვევაში ეს ადამიანი მუშა ან გლეხია. ეს თქვენ ხართ, მშრომელებო! თქვენზეა დამოკიდებული ომის ბედი, მაშასადამე, თქვენი ბედიც.

ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ არ უნდა იქნეს გადადებული იმ დრომდი, სანამ ომი არ დაიწყება, რადგან მაშინ უკვე გვიანღა იქნება. ბრძოლა ომის წინააღმდეგ ეხლავე, დაუყონებლივ უნდა იქნეს დაწყებული და ის ყოველ დღიურად უნდა სწარმოებდეს. ასეთი ბრძოლის პირველი პირობაა უარი ეთქვას კაპიტალისტურ სახელმწიფოს „ბიუჯეტზე, ნდობაზე, დახმარებაზე. ის სოციალისტი, რომელიც შედის ბურჟუაზიულ სამინისტროში, ის დეპუტატი, რომელიც ეხმარება ბურჟუაზიას გადასახადების აკრეფაში ანდა მუშების და გლეხების სამხედრო სამსახურში გაწვევაში--გამყიდველი და მოღალატეა. მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს მუშათა კლასის რიგებში. განდევნილი უნდა იქნენ პროფკავშირებიდან ისეთი ბელადები, რომლებიც პირდაპირ თუ არა პირდაპირ ხელს უწყობენ მილიტარიზმს, ამართლებენ მას, ეთანხმებიან მას. საჭიროა გაწმენდილი იქნეს პროლეტარული ორგანიზაციები პოლიტიკურ შტრეიკბრეხერებისაგან. საჭიროა მოაგონოთ ყველა მშრომელ კაცებს და ქალებს ის, თუ როგორ იყო მომხადებული უკანასკნელი ომი და როგორ ეხმარებოდენ სოციალ-დემოკრატები ოთხი წლის განმავლობაში იმპერიალიზმის გენერლებს მუშების დაგლეხების ხოცვის საქმეში. საჭიროა მიმართოთ ქალაქის და სოფლის ახალგაზრდობას. საჭიროა, რომ მამების და უფროსი ძმების არა ადამიანური ტანჯვა იმპერიალისტური ომის დროს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობაში გადაიქცეს საშინელ სიძულვილად ომის დამწყებთა მიმართ. საჭიროა, რომ ახალგაზრდობა მიდიოდეს კაპიტალისტურ არმიებში შინაგანი მზათყოფნით იარაღი მიმართოს არა თავის მოძმე—პროლეტარების, არამედ თავისი კლასიური მტრის—ბურჟუაზიის წინააღმდეგ. საჭიროა დაუღალავათ დანგრეული იქნეს ის ხელოვნური კედელი, რომელსაც აშენებენ არმიასა და მუშათა კლასს შორის. საჭიროა კავშირის დამყარება ყაზარმებთან. საჭიროა, რომ სიმართლის ხმა აღწევდეს თვითეულ ჯარის-კაცამდი. საჭიროა შეგნებული ჯარის კაცების გაერთიანება მცირე ჯგუფებათ. საჭიროა რევოლიუციონური ორგანიზაციების მოწყობა რკინის გზებზე, რომლებშიაც უნდა შედიოდენ ყველაზე უფრო გმირული და თავდადებული პროლეტარული მებრძოლები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო ქარხნებს. თვითეულ მათგანში მოწყობილი უნდა იქნეს მტკიცე მებრძოლი უჯრედები, რომელთაც გადამწყვეტ მომენტში უნდა შეეძლოთ მთელი მუშათა მასის წაყვანა ბრძოლაში. ბურჟუაზიას არ ეშინია არც პაციფისტური მოძღვრების და არც სოციალ-დემოკრატების მუქარის. სამაგიეროთ ბურჟუაზია თრთის სიძულვილისა და შიშისაგან, როდესაც ის გაიგებს წვრილ არალეგალურ უჯრედების არსებობის შესახებ რკინის გზაზე, სამხედრო ქარხნებში და განსაკუთრებით არმიასა და ფლოტში. ბურჟუაზიამ იცის, რომ არა მარტო მუშებს და გლეხებს, არამედ ჯარის-კაცებსაც არ უნდათ ომი, და რომ მხოლოდ მათი დაქსაქსვა და თავის თავზე არ დანდობა აიძულებს მათ უსიტყვოთ წავიდენ სასაკლაოზე. ბურჟუაზიამ იცის, რომ მცირე, მაგრამ მტკიცე უჯრედს თვითეულ პოლკში შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს გადამწყვეტ მომენტში. აი ამიტომ ყოველი კაპიტალისტური მთავრობა, როგორი დემოკრატიული იარლიკითაც არ უნდა გამოდიოდეს ის, სასტიკათ სდევნის ნამდვილ რევოლიუციონურ მუშაობას; აი ამიტომ თვითეული რევოლიუციონერის მოვალეობაა გააორკეცოს და გაათკეცოს თავისი ღონისძიებები ამ მიმართულებით. მხოლოდ ის პარტია იბრძვის ნამდვილად ომის წინააღმდეგ, რომელიც ყოველ დღიურად შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ პარტია, რომელიც აერთიანებს მშრომელებს ამ ბრძოლაში, რომელიც ქადაგობს სიძულვილს კაპიტალის სახელმწიფოსადმი, რომელიც აკაჟებს მასებს ამ სიძულვილით, რომელიც ამზადებს ბრძოლისათვის აუცილებელ ძალებს და საშუალებებს, რომელიც რევოლიუციისათვის ქმნის დასაყრდნობ პუნქტებს ყაზარმაში. ასეთი ხელმძღვანელი ძალაა თვითეული ქვეყნის კომუნისტური პარტია. ამ პარტიების მებრძოლ გაერთიანებას წარმოადგენს კომუნისტური ინტერნაციონალი. ჩვენ ამ ინტერნაციონალის დელეგატები, რომლებიც შევიკრიბეთ ჩვენს მეხუთე საერთაშორისო კონგრესზე მუშების და გლეხების მიერ განთავისუფლებულ მოსკოვში, მოგმართავთ თქვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელებს, მითითების, გაფრთხილების და მოწოდების ამ სიტყვით!

გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გსურს გამარჯვება და გრწამს, რომ გაიმარჯვებ. გამარჯვება შეიძლება მხოლოდ იმ პარტიის გარშემო გაერთიანებით, რომელსაც სურს და შეუძლია გამარჯვების მოპოვება.

მშრომელებო! დეე ომის საკითხი გახდეს ისეთ საკითხათ, რომელზედაც თქვენ გამოცდით პარტიების და ბელადების ერთგულებას. არ კმარა ცარიელი სიტყვები, მოითხოვეთ საქმე, პარტიები და ბელადები შეამოწმეთ ფაქტების მიხედვით. ძირს პაციფიზმის შარლატანები, რომლებიც მშვიდობიანობის დროს სიტყვიერ ომს აწარმოებენ ომის წინააღმდეგ, ზარბაზნის პირველ გასროლისთანავე კი შოვინისტურ მტაცებლებათ ხდებიან. ძირს ის სოციალისტები, რომლებიც გაზეთებში და კრებებზე კიცხავენ და გმობენ ბურჟუაზიის ბატონობას, ბურჟუაზიისათვის ყველა მძიმე მომენტებში კი მის საუკეთესო დასაყრდენათ ხდებიან. ძირს ამსტერდამის ის ყვითელი პროფესიონალისტები, რომლებიც ბურჟუაზიულ მინისტრებისაგან და კაპიტალის მაგნატებისაგან იღებენ თავის დირექტივებს. ძირს მოღალატეები, რომლებიც ხმას აძლევენ ბურჟუაზიულ ბიუჯეტს, დახმარებას უწევენ კაპიტალისტურ არმიებს, რომლებიც იცავენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რომლებიც ხელს უწყობენ კოლონიალურ მონობას და ამით ამზადებენ ახალ ომებს. ძირს პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მენშევიკური ბელადები. განდევნეთ ისინი, გამოამჟღავნეთ მათი საქმენი, ბოიკოტი გამოუცხადეთ მათ, გამორიცხეთ მუშათა კლასის რიგებიდან. ყურადღებით ჩაუკვირდით ამბებს, შეადარეთ, ასწონ-დასწონეთ, ნუ დაუჯერებთ სიტყვებს, შეამოწმეთ საქმეზე,—და თქვენ დარწმუნდებით, რომ არის მხოლოდ ერთად-ერთი პარტია, რომელიც მზათ არის წაგიყვანოთ თქვენ ბრძოლაში და რომელსაც შეუძლია გამარჯვების უზრუნველყოფა: ეს არის კომუნისტური პარტია, შეხედეთ რუსეთს: ამ ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელიც გაჭიმულია განუსაზღვრელ სივრცეზე, ლენინის გენიით შექმნილმა რევოლიუციონურმა პარტიამ არა მარტო დაამხო თავისი ბურჟუაზია, არამედ მან შესძლო მშრომელთა ძალაუფლების დაცვა ურამრავი მტრებისაგან. მიუხედავათ უდიდესი დაბრკოლებებისა, რომლებიც გამოწვეულია ქვეყნის ჩამორჩენილობით, კულტურის დაბალი დონეთი და ორი ერთმანეთზე მიყოლებულ, ომით გამოწვეულ უდიდესი ნგრევით, მუშები და გლეხები თანდათანობით აშენებენ სოციალისტურ საზოგადოების შენობას.

თქვენ, ევროპის და ამერიკის პროლეტარები, ამ მიმართულებით გაცილებით უფრო მეტს გააკეთებდით, ვიდრე ეს შესძლო რუსეთის პროლეტარიატმა, რადგან თქვენ უფრო მრავალრიცხოვანი ხართ და თქვენი ქვეყნები უფრო მდიდარია. „იმისათვის, რომ გახდეთ დაუთრგუნველ ძალათ, თქვენთვის საჭიროა მხოლოდ საკუთარი სიძლიერის გაგება, შეგრძნობა და მისი გამოყენება. ამას გასწავლით თქვენ საერთაშორისო კომუნისტური პარტია. გაჰყევით მას!

და თქვენც, აოხრებულო და დაჩაგრულო გლეხებო, შემოუერთდით ჩვენ დიად კავშირს. შარშან დაარსებული გლეხთა ინტერნაციონალი ყველა თავის ძალებს მოახმარს ბრძოლას მილიტარიზმისა და ახალი ომის საშიშროების წინააღმდეგ.

ევროპის გლეხებო! ამერიკის ფერმერებო! მთელი მსოფლიოს მიწის მხვნელებო! საქმე შეეხება თქვენი მეურნეობის ბედს, თქვენი შვილების სიცოცხლეს. აღსდექით, გაერთიანდით, შეუერთდით რევოლიუციონურ მუშათა კლასს! სხვა გზა, სხვა ხსნა თქვენთვის არ არსებობს.

ქალები, დები, ცოლები და დედები მამაკაცებზე ნაკლებ არ იტანჯებიან მილიტარიზმის და ომის უღლის ქვეშ, თუმცა ეს ტანჯვა უფრო ნაკლებ თვალსაჩინოა, ვიდრე კაცების ტანჯვა. მუშათა ოჯახების დანგრევით, გლეხთა მეურნეობის დაშლით, ოთხი წლის ომმა მშრომელი ქალი გადააქცია მონათ. დედების, ცოლების და დების გულში წარსულმა სისხლისღვრამ ღრმა იარები დასტოვა. ყველა იმის შემდეგ, რაც მშრომელმა ქალმა განიცადა ამ ოთხი წლის განმავლობაში, ის ომის და კაპიტალის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში უნდა იდგეს.

მუშა ქალებო! გლეხის ქალებო! თქვენი ადგილი—ჩვენთანაა. ჩვენ მოგელით და მოგიწოდებთ თქვენ.

კოლონიალურ ხალხთა რევოლიუციონური აღზრდა და განათლება საარსებო საკითხია პროლეტარიატისათვის. თუ ბურჟუაზია სცდილობს კოლონიების ჩაგვრით დაიცვას და განამტკიცოს პროლეტარიატის ჩაგვრა, ჩვენ ჩვენის მხრით უნდა ვეცადოთ პროლეტარიატის აჯანყებას დასახმარებლათ მივაშველოთ კოლონიების აჯანყება.

ნაციონალური და რასიული ცრუმორწმუნოება მონობის პროდუქტია და ის ასაზრდოებს მონობას, შოვინისტური განწყობილება, აშკარა თუ ფარული, საუკეთესო დასაყრდენია მილიტარიზმისათვის და საუკეთესო საშუალებაა მომავალი ომების მოსამზადებლათ. საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალურ ცრუმორწმუნოებისა და რასიული გულდიდობის წინააღმდეგ. არა მარტო პირდაპირი მტრობა, დაცინვა, ირონიული დამოკიდებულება, არამედ თეთრკანიანების მფარველობითი-შებრალების ტონი შავ ანდა ყვითელ კანიანების მიმართ გაკიცხული უნდა იქნეს მშრომელთა საზოგადოებრივი აზრის მიერ, როგორც სოლიდარობის უხეში დარღვევა, როგორც ბოროტი შტრეიკბრეხერობა. საჭიროა, რომ კლასთა ბრძოლა არ დაჩრდილოს და დაამახინჯოს შოვინიზმმა. კოლონიალურმა მშრომელმა უნდა შეიგნოს, რომ თეთრკანიანი მუშა მისი ძმაა. ამისათვის კი საჭიროა, რომ თეთრკანიანი პროლეტარი ძმურად ეპყრობოდეს კოლონიების ფერადკანიან მოსახლეობას.

ევროპის პროლეტარებო! მეტი ყურადღება კოლონიების საკითხს, მეტი ძალები რევოლიუციონურ მუშაობას კოლონიებში. ბურჟუაზიას ჩვენ უნდა შევუტიოთ იქიდან, სადაც ის ფიქრობს გამონახოს თავისი საიმედო დასაყრდენი.

კოლონიების მშრომელებო! იმპერიალიზმის მონებო! ჩვენო ძმებო გაიღვიძეთ ბრძოლისა და დამოუკიდებლობისათვის. კომუნისტური ინტერნაციონალი თქვენთანაა!

* * *

ჩვენი უახლოესი, მორიგი, გადაუდებელი ამოცანა ომის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში ამჟამათ არის ბრძოლა კაპიტალისტურ მოძალადეების იმ შეთქმულების წინააღმდეგ, რომელსაც ექსპერტთა გეგმა ეწოდება. და აქაც, როგორც ყველგან, ჩვენი პირველი იერიში მიმართული უნდა იქნეს სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. იგი აშინებს მუშებს ამერიკის ძალით, იგი მოითხოვს მათგან მორჩილებას და შერიგებას, იგი უწინასწარმეტყველებს ევროპას და, უპირველეს ყოვლისა, გერმანიას დაღუპვას, თუ ის არ დაემორჩილება ამერიკის კაპიტალს. ჩვენ კი, კომუნისტები, ვეუბნებით ევროპის მშრომელებს: თქვენი ხსნა შეურიგებელ ბრძოლაშია ექსპერტთა გეგმის, მისი გამტარებლების და დამცველების წინააღმდეგ. საჭიროა სოციალ-დემოკრატიის განდევნა, ბურჟუაზიის დამხობა, საჭიროა ძალაუფლების საკუთარ ხელში აღება, ევროპის მეურნეობის გაერთიანება და მისი სოციალისტური გზით მიმართვა. თუ საბჭოთა რუსეთმა შესძლო თავის დაცვა მთელ რიგ წლების განმავლობაში კაპიტალისტური ევროპისა და ამერიკისაგან, მით უფრო ადვილი იქნება ევროპის პროლეტარიატისათვის გამარჯვების მოპოვება. თუ ის ძალაუფლების თავის ხელში ჩაგდების შემდეგ გააერთიანებს ევროპის სახელმწიფოებს საბჭოთა ფედერ. ევროპის მუშათა და გლეხთა შეერთებულ შტატებში. ამით არა მარტო გადარჩენილი იქნება ევროპის კულტურა დაცემისა და გახრწნისაგან, არა მარტო უზრუნველყოფილი იქნება კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ ამასთანავე სასიკვდილო ლახვარი ექნება ჩაცემული ამერიკის კაპიტალის საერთაშორისო თვითმპყრობელობას. რევოლიუციონურ მოძრაობას ამერიკაში გასაქანი მიეცემა. ამრიგათ, ევროპის სოციალისტური ფედერაცია ქვაკუთხედათ გახდება საერთაშორისო სოციალისტურ რესპუბლიკისათვის. მხოლოდ ამ დროიდან მიეცემა საშუალება კაცობრიობას იაზროვნოს და იმოქმედოს ადამიანურათ, საერთაშორისო მეურნეობა მოწყობილი იქნება სოლიდარობის და გონიერების საფუძვლებზე, საერთაშორისო დამოკიდებულება გადაიქცევა მატერიალურ და სულიერ დოვლათის ძმურ გაცვლა-გამოცვლათ ცალ-ცალკე მატერიკებსა და ხალხებს შორის. ომები წარსულს ჩაბარდება, რადგან მათთვის უკვე აღარ იქნება მიზეზები. ომთან ერთად გაქრება არმიებიც. ადამიანების ყველა ძალები მიმართული იქნება ჩვენი პლანეტის გამდიდრებისაკენ, ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებისა და გალამაზებისაკენ.

ასეთია კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანა,—ის გრანდიოზულია, მაგრამ მისი განხორციელება შეიძლება. მისი განხორციელების გზა ნაჩვენებია მარქსისა და ლენინის მიერ. ეს არის გზა დაუნდობელი ბრძოლისა ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ყველა ქვეყნებში, ეს არის გზა სხვა და სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ბრძოლის გაერთიანებისა ძალაუფლების დაპყრობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გულისათვის. ვინც ამბობს, რომ არსებობს კიდევ სხვა გზები—ის გატყუებთ თქვენ. კომუნისტური ინტერნაციონალი იმით ემსახურება პროლეტარიატის საქმეს, რომ ის სიმართლეს ეუბნება მას. დეე ეს სიმართლე გაისმოდეს ყველგან, როგორც რევოლიუციონური ბრძოლის საყვირი!

ომის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, სოციალ-გამყიდველების წინააღმდეგ,—საერთაშორისო რევოლიუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის! კომუნიზმისათვის!

**კომუნისტური ინტერნაციონალის მეხუთე საერთაშორისო კონგრესის პრეზიდიუმი:**

**ზინოვიევი, კლარა ცეტკინი, სტალინი, ბუხარინი, ტროცკი, ბრაუნი, გებგარდი, ტრეინი, სელიე, ბორდიგა, შმერალი, მუნა, შეფლო, კოლაროვი, კრაევსკი, კატაიამა, როი. სტიუარტი, დენნი, ვაინკოპი,**



## 1 არტ-დივიზიონის საბანაკო ცხოვრებიდან.

დილის 10 საათზე ჩვენი ეშელონი ჩერდება სადგ. №-ში.

თვალწინ გვეშლება განუსაზღვრელი მინდვრები, რომელიც პირველ შეხედვისთანავე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს ჩვენზე. ათეულ ვერსის მანძილზე ადამიანი ვერ დაინახავს ერთ უბრალო კუნძსაც კი და ეს იმ დროს, როდესაც მზის სხივები აქსაშინლად მწველია, თითქოს ვისმეს ამოუქაჩავს ჰაერი ამ მიდამოებიდან. ალმური ასდის ყველაფერს, ვიწვით ხალხი, ცხენები და თითქოს სითბოც თანდათან განზრახ მატულობს.

მაგრამ... მზემ გადაიხარა, საღამოს 4 საათია, დაჰბერა საამო ნიავმა სამხრეთიდან და მდგომარეობაც შეიცვალა. თუ ამდენ ხანს—ამდენი ხალხის ჰაჰანსაც ვერ გაიგონებდით ახლა ყველა გამოცოცხლდა და იმის სჯა ბაასში არიან როგორ უნდა იცხოვრონ თუ ასეთი სიცხეები გაგრძელდა და სხვა.

საღამოს გადააქვთ დივიზიონის ქონება გათვალისწინებულ მინდვრისაკენ—ბანაკში.

მთელი ღამე მოძრაობაში ვართ, უნდა შეუდგეთ ახალ ცხოვრებას, ჯერ ჩვენი ახლად წვეულთათვის უჩვეულოს.

მეორე დღეს დილიდანვე იწყებენ კარვების გაშლას. გადაათეთრა კარვებმა მიდამო. ყველა მუყაითად მუშაობს. მხოლოდ სიცხე გვაწუხებს... უცბათ დაჰკრა ნიავმა მას მოჰყვა ჯერ სუსტი, მერე თანდათანობით უფრო ძლიერი ქარი და ჩვენი ამდენი ნაშრომი კარვები სულ ჰაერში აიტაცა.

შეუძლებელი ხდება მუშაობის გაგრძელება ქარი მეტის მეტად ძლიერდება უცებ დაუშვა კოკისპირული წვიმამ.

არსადაა თავშესაფარი. გაიწუწა ხალხი, საქონელი, ქონება... თანაც საშინლად ცივა, ირგვლივ ტალახი, ხალხი იფლება შიგ.

მთელი ღამე ცის ქვეშა ვართ, მეორე დღის ნაშუადღევიდან ისევ გამოიდარა, მზე ისევ უწყალოდ აცხუნებს და იხუთება ჰაერი.

ისევ მუშაობაა, უნდა ქარს დავასწროთ და თავშესაფრები დავიმზადოთ, უცბად ჩნდებიან ისევ კარვების თეთრი მწკრივები, რაც არაქათ გამოლეულ მხედრობას ნუგეშსა სცემს, საღამოს ისევ ქარია, მაგრამ ადამიანის ხელი სძლევს სტიქიურ ძალას.

თანდათან ყველაფერი თავის რიგზე მოგვყავს.

ეხლა კარვების წინ და მათ ირგვლივ ვაკეთებთ მოკენჭილ გზებს ყოველივე ეს ერთნაირ მიმზიდველობას აძლევს ჩვენს უფერულ ცხოვრებას, მშვენიერდება ლენინის კარავის წინ მიდამო. ეს ერთად ერთი თავშესაფარია დაღლილ მეომრებისათვის. ყოველივე თავის კალაპოტში დგება, მაგრამ სრულიად მოწყობა არც ისე ადვილია. რაც ჩვენს დივიზიონში ამ ერთი კვირის განმავლობაში გაკეთდა, იმის ნახევარიც არ გაუკეთებიათ ჩვენზე უწინ აქ ჩამოსულ სხვა ნაწილებს.

უკვე დაიწყო სამწყობრო და საპოლიტ-განმანათლებლო მუშაობა. ხელს გვიშლის იგივე ქარი, რომელიც არ გვიყენებს საკლუბო საბიბლიოთეკო კარავს.

ამასაც ვსძლევთ და იმედი გვაქვს, რომ საბანაკო პერიოდს სათანადო ღირსეულად გამოვიყენებთ.

ჩვენი მუყაითობა ყოველივე დაბრკოლებას დაიმორჩილებს.

**გრ. ჩიჩუა.**

## ახალდაბის მუშათა კლუბში.

შაბათს 13 ივლისს სოფ. ახალდაბის ხე-ტყის სახერხავ ქარხნის მუშათა კლუბში მოეწყო საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენაში მონაწილეობდენ ცალკე საკავშირო ასეულის წითელ არმიელები და ადგილობრივი დასიდან—ფანიაშვილის ქალები. დადგმული იქნა ორმოქმედებიანი პიესა „აშუ ღარიბი“. შემდეგ გაიმართა კონცერტი.

პიესა კარგად ჩატარდა.

ამხ. წითელ არმიელებმა კარგათ შეასრულეს ადერბეიჯანული ცეკვა. მეორე განყოფილებაში იმღერა გუნდმა სხვა და სხვა სიმღერები, უკრავდა როიალი და სიმებიანი ორკესტრი.

მადლობის ღირსია საკავშირო ასეულის კლუბის უფროსის თანაშემწე ამხ. კალამტაროვი, რომელიც ხშირად გვესწრება წარმოდგენებზე, უკრავს როიალზე, მღერის ქართულ რომანსებს და ამნაირადართობს ჩვენს წითელ მოლაშქრეებს.

მომავალ შაბათს ამავე საკავშირო ასეულის დრამწრე დასდგამს შალვა დადიანის პიესას „გეგეჭკორს“.

**„სვირელი“.**

## მე-3-ე ტერ-ლეგიონი სოფელ უფლისციხეში

კვირას 20 ივლისს, დილით მე-3-ე ტერ-ლეგიონის წ-მოლაშქრეები და უფ პოლიტ შემადგენლობა საშეფო კომისიასთან ერთად გაემგზავრა სოფელ უფლისციხეში. მგზავრობის დროს გზაში გაისმის მოლაშქრეების მიერ, ქართლ-კახური და გურულ-მეგრული სიმღერები. სიხარულს საზღვარი არ აქვს, როდესაც მიუახლოვდით სოფელს, ლეგთავი მოკლეთ აცნობს წ. მოლაშქრეებს სოფ. უფლისციხის ისტორიულ მნიშვნელობას, რის შემდეგ ლეგიონი შედის სოფელში.

მცხოვრებლები ჯგუფ ჯგუფად გამოსულიყვნენ ქუჩის პირას, სახლის სახურავებზედ და გაიძახოდენ: „გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას“ ო მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

ალმასკომმა უჩვენა ლეგიონს დასასვენებელი ადგილი. ჩამოვიხსენით თუ არა ბარგი, იმ წამსვე გავიშალეთ ძველი გამოქვაბულების დასათვალიერებლად. მივიღეთ შესაფერი ახსნა განმარტება გამოქვაბულების შესახებ და ამის შემდეგ, ლაფათქებით და წერაქვებით შევედით სოფელში. გავასწორეთ 200 საჟენი გზა და გავასუფთავეთ სოფელი.

შემდეგ იმართება ჯგუფ ჯგუფათ გლეხობასთან საუბარი. დაარსდა სამკითხველო, რომელსაც დაუტოვეთ გაზეთები და წიგნები. ლეგიონი ზურნით და დიდი ოვაციებით გამოაცილეს მცხოვრებლებმა.

გვთხოვეს ხშირად ვიაროთ მათთან, რაც აღუთქვა მათ ამხ. სამხკომმა.

**სამხკორი: ოზურგელი.**

## ძვირფასი სტუმრები ბანაკში.

19 ივლისს წითელ მესანგრეებს გვესტუმრენ ძვირფასი ამხანაგები ს. ორჯონიკიძე, კავკ. წით. დროშ. არმიის სარდალი პუგაჩოვი, მიასნიკოვი და კუზნეცოვი.

ამხანაგებმა დიდი გულმოდგინებით დაათვალიერეს ნაციონალური ნაწილები, სათითაოდ დაიარეს და ინახულეს კარვები, სამზარეულოები და სხვა.

ჩვენს ასეულშიაც მოვიდენ. ამ დროს ჩვენთან მიმდინარეობდა სასკოლო მეცადინეობა. დაინახეს თუ არა ძვირფასი სტუმრები არმიელები ფიცხლავ წამოხტენ და ერთხმათ შესძახეს „გაგიმარჯოს“.

ამხ. ს. ორჯონიკიძე მიმართავს წითელ მესანგრეებს:

„დასხედით ამხანაგებო და განაგრძეთ თქვენი მეცადინეობა“.

ყველა სხდებიან.

ასეულის მასწავლებელმა ამხ. გიოკასრაძემ, განაგრძო გაკვეთილი და შემდეგ წითელ არმიელებს გამოკითხა განვლილი პროგრამიდან. წითელ არმიელებმა კარგად უპასუხეს, და ჩვენი სტუმრებიც დიდი კმაყოფილნი დარჩენ.

შემდეგ ამხ. ს. ორჯონიკიძე აძლევს წითელ მესანგრეებს მრავალ შეკითხვებს პოლიტიკური დარგიდან და აწუხებთ თუ არა რამე და ან თუ აქვთ რაიმე შეკითხვები, უშიშრად გამოსთქვან.

1901 წ. დაბადებული არმიელები აძლევენ შეკითხვას, თუ როდის იქნებიან ისინი გაშვებულნი უვადო შვებულებაში.

ამხ. ს. ორჯონიკიძე აკმაყოფილებს ამ შეკითხვას და უცხადებს მათ. რომ სექტემბერში აუცილებლად იქნებიან გაშვებული. რის შემდეგ ამხ. გულთბილად გამოემშვიდობენ ლაშქრელებს,

**სამხკორი: გ. ნუცუბიძე.**

## მუდამ უნდა გვახსოვდეს.

გუშაგმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიატოვოს საგუშაგო, თუ გამომცვლელი არ მიუვიდა.

გუშაგს ნება არ აქვს მიატოვოს საგუშაგო თუ გინდ მისი სიცოცხლე განსაცდელში იყოს. თუ საგუშაგოს ახლო მახლოს რაიმე აურზაურია, უბედური შემთხვევაა (ცეცხლი, ხმაურობა, ჩხუბი და სხვა) გუშაგი ვალდებულია დაძახებით ან



საფშვიტინოთი გამოუძახოს ყარაულის უფროსს.

თუ რომ გუშაგი უეცრად ავად გახდა, იგი უძახის ყარაულის უფროსს და სთხოვს გამოცვალოს, თავის ნებით კი ნება არ აქვს მოიხსნას.

მოხსნა, გამოცვლა გუშაგის, შეუძლია მხოლოდ ყარაულის უფროსს, ან მის თანაშემწეს, ანდა გამრიგებელს. მხოლოდ მათ ბრძანებას ასრულებს გუშაგი.

საგუშაგოზე დგომის დროს გუშაგმა უნდა ფხიზლად მოუაროს ჩაბარებულ ქონებას.

გუშაგს ნება არ აქვს ჭამისა, სმისა, თამბაქოს წევისა, მას სასტიკად ეკრძალება ნივთების მიღება იმ პირებიდან, რომლებსაც ის არ ემორჩილება.

გუშაგი შეკითხვებზე პასუხს აძლევს გარნიზონის უფროსს, ქალაქის კომენდანტს და ყარაულის მორიგეს. დანარჩენ პირებს, ვინც კი არ უნდა იყოს, გუშაგი ახლოს არ უნდა უშვებდეს. თუ ვინიცობაა, გუშაგმა შეამჩნია სხვა დანარჩენ პირების მიახლოვება, მან უნდა გააჩეროს ისინი შეძახებით: „სდექ“ ვინ მოხვალ.

თოფს გუშაგი დაიკავებს ისე, როგორც მას სურს და მისთვის უფრო მოსახერხებელია, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია თოფის ერთი ხელიდან მეორე ხელში თამაში, ან მისი მიყუდება, ან ზურგზე ჩამოკიდება.

**აი ახლად მოსულო რა არ უნდა დაივიწყო შენ და სავსებით შესრულო გუშაგად ყოფნის დროს.**

**ჩახმახი.**

## საღამო კონცერტი.

18 ივლისს, 1-ლ ლეგიონის შემადგენლობა მიწვეულ იქნა საღამო კონცერტზე ქ. თბილისის გარნიზონის წითელ არმიელთა საზაფხულო კლუბში.

კლუბში მისვლისას წითელ არმიელები ეცნობოდენ სხვა და სხვა კუთხეებს.

უცბად გაისმა ხმა „კინოზე“.

მოხარული წითელი მოლაშქრენი ჩქარი ნაბიჯით მიეშურებიან კინოსაკენ, ნაჩვენები იქნა რევოლიუციონური სურათი „ანდრია კოჟუხოვი“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია წითელ არმიელებში, რის შემდეგ კლუბის თეატრში გამართული იქნა კონცერტი.

კონცერტის წინ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ზომლეთელმა. „თანამედროვე ხანის პოეზიის მნიშვნელობა“.

ამხ. ზომლეთელი თავის სიტყვაში აცნობს წითელ არმიელებს, ახალი პროლეტარულ პოეზიის მნიშვნელობას, რაც მოსმენილი იქნა დიდი ყურადღებით.

მოხსენება გადათარგმა ამხ. ფოცხვერაშვილმა რუსულად, რის შემდეგ ქართულ მომღერალთა აკადემიურმა გუნდმა ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა სხვა და სხვა რევოლიუციონური და სახალხო სიმღერები.

წითელ არმიელების ყურადღება მიიქცია და მეტად დააინტერესა სოლომ — „ოძელაშვილი არსენა“ და ჯორჯიაშვილი არსენა“.

საღამოს დასრულების შემდეგ წ. არმიელები მწყობრი რიგებით გაემართნენ თავიანთ ბანაკში.

სასურველია ასეთი საღამოები ხშირად იქნებოდეს გამართული საგარნიზონო კლუბში, რომელიც დიდ ინტერეს ბადებს წითელ მოლაშქრეებში. ჩვენ ლეგიონთან ერთად საღამოს დაესწრო აგრეთვე მე-2-რე ტერიტორიალური ლეგიონი.

კლუბი სავსე იყო წითელ მოლაშქრეებით. წესრიგი საუცხოვოდ იყო დაცული.

**ალე.**

## პარტიული ცხოვრება

1 ივლისს შესდგა 1-ლ ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედის ღია კრება.

კრებას დაესწრენ როგორც პარტ-ამხ. აგრეთვე უპარტიო წითელ არმიელებიც.

კრების გახსნის შემდეგ, კომინტერნის მეხუთე კონგრესის შესახებ მოხსენებას აკეთებს ასეულის პოლიტ ხელი ამხ. ჰელიძე და აღნიშნავს კომინტერნის მუშაობის მიმდინარეობას და მის გადადგმულ ნაბიჯებს კომ-პარტიის გასაჯანსაღებლად;

მან მოიყვანა კომინტერნის მეხუთე კონგრესის მიერ გამომუშავებული რეზოლიუცია და კრებას გარკვევით აუხსნა მისი მნიშვნელობა.

შემდეგ მოხსენება გააკეთა აგრეთვე იმპერიალისტურ ომის შესახებ ლაპარაკობს ა. კ. კ. წ. წითელ არმიელი ამხ. ჯიჩოევი, ამხანაგი ვრცლად შეეხო იმპერიალისტურ ომის შედეგებს, მის გამომწვევ მიზეზებს და სხვა. მოხსენების ირგვლივ მრავალი შეკითხვები იქნა შეტანილი წითელ არმიელების მიერ, რომელზედაც ამხ. ჯიჩოევმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

**პარტკორი: გ. ნუცუბიძე.**

# ახალი ამბები.

— **ორშაბათი საქმის დღეა.** შრომის სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ მომავალი ორშაბათი 28 ივლილისი დასასვენებელი დღე არაა და დასისვენებელ დღეთ გამოცხადებულია 4 აგვისტო.

— **კანონების გამოცემა ცალკე კრებულათ.** იუსტიციის კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს ყველა გამოქვეყნებული კანონები ცალკე კრებულათ.

— **თფილისის მუშათა სახლები.** ტფილისში არსებულ 149 მუშათა სახლიდან 72 სახლი ეხლავე საჭიროებენ შეკეთებას.

— **რა დაჯდა მამადავითზე ტყის მოშენება.** თანახმად უკანასკნელი ცნობებისა თვითეული დესეტინა ტყის მოშენება დაჯდა 200—250 მანეთამდე.

— **წისქვილის მუშაობა.** ქალაქის წისქვილის მუშაობა ინტენსიურათ მიმდინარეობს. დღე ღამის განმავლობაში წისქვილი ფქვავს 5.000 ფუთს.

— **მოწაფეთა რიცხვი საქართველოში.** წარსული სამოსწავლო წლის განმავლობაში თფილისში ირიცხებოდა 43.508 მოწაფე. ქუთაისში 38.521 სულ საქართველოში 229.899 მოწაფე.

— **გლეხკომების სახელმძღვანელო.** სოც. უზრ. კომისარიატმა დაუგზავნა გლეხკომებს კომპარტიის მეცამეტე ყრილობის რეზოლიუციებიდან ამონაწერი ცნობათ და სახელმძღვანელოთ.

— **სასოფლო სამეურნეო იარაღების შესაძენათ.** საქ. გლეხკომების ცენტრ. ბიურომ მიმართა ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომიტეტს შეატყობინოს მას, თუ რა იარაღი აქვთ საწყობებში და რა ფასებში შეიძლება მათი შეძენა, გლეხობისათვის.

— **ჰიდრო ელექტრონული სადგური ახალციხეში.** ახალციხის ჰიდრო ელსადგურის აშენება წარმატებით მიმდინარეობს. სადგური მზად იქნება მომავალ ოქტომბერში.

— **საინფუზორიო მიწა.** ახალციხის მაზრაში აღმოჩნდა საინფუზორიო მიწა, რომელსაც საზოგადოთ ხმარობენ ნაკელის მაგივრათ და რომელსაც ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობისათვის.

— **მოსავალი ახალქალაქის მაზრაში.** ახალქალაქის მაზრაში გვალვებმა და სეტყვამ დააზარალა ნათესები, მაგრამ უკანასკნელათ დამდგარ ამინდების გამო მოსავალი გამობრუნდა.

— **ფასების გადიდება აბანოებში.** ქალ. კომუნალურმა განყოფილებამ აბანოებში ფასები გაადიდა ნახევარჯერ.

# მეცნიერება და ტექნიკა

### ახალი გამოკვლევა მზის შესახებ.

მზის სიმუდმივე უდრის ორს—ეს იმას ნიშნავს, რომ დედამიწის თითეული კვადრატიული სანტიმეტრი ყოველ წუთში ღებულობს მზისაგან ორ გრამ კალორია სითბოს.

(კალორია არის სითბოს გასაზომი ერთეული). აქედან გამოანგარიშებულია, რომ მზე თითეულ საათში უშვებს მსოფლიო სივრცეში 353.000 კვადრილიონ კალორიას (ერთი კვადრილიონი გამოიხატება ერთით და თუთხმეტი ნულით).

რადგანაც ასეთი დიდი რაოდენობით ხარჯავს მზე თავის სითბოს, მათემატიკური გამოანგარიშების თანახმად ის უნდა გაციებულიყო 2,000 წლის განმავლობაში—მეტ დროს მას თავისი სითბო არ ეყოფოდა, მაშ რაში ყოფილა საქმე?

ამბობენ, რომ მზეს ხელ ახლა ემატება სითბოო.

თუ ეს მართალია—როგორ და რომელი წყაროებიდან.

მრავალმა მეცნიერმა წამოაყენა ამის შესახებ თავისი შეხედულება, აუარება თეორიები არსებობს ამ საკითხის გარშემო.

ცნობილი მეცნიერი გელმგოლცი მზეში სითბოს შენარჩუნებას მიაწერდა მზის მასის შემჭიდროებას.

ახალი გამოკვლევები კი ამტკიცებენ, რომ ამისათვის მარტო გელმგოლცისაგან დასახელებული მიზეზი არაა საკმარისი. სითბოს შენარჩუნების ასეთი წესით მზე იარსებებდა მხოლოდ 12 მილიონი წელიწადი. მაგრამ გეოლოგიური გამოკვლევანი თავის მხრივ ამტკიცებენ, რომ დედა მიწას მრავალი ასეული მილიონი წლების ისტორია აქვს. მაშასადამე არც გელმგოლცის აზრი ყოფილა დაკმაყოფილებული.

ეგრედ წოდებულ ლითონი რადის აღმოჩენის შემდეგ—აზრად დაებადათ მზეზე რადის არსებობის შესაძლებლობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს არ გამართლებულა, და ამასთანავე რადის არ შეეძლო ამდენ ხანს უზრუნველეყო მზე სითბოთი. არის ზოგიერთი რადიო აქტიური ელემენტები, რომლებსაც უფრო დიდ ხანს შეუძლიათ არსებობა, მაგრამ ისინიც სამაგიეროდ ნაკლები ენერგიით ხასიათდებიან.

ამ უკანასკნელ ხანებში—ფიზიკალური მეცნიერების ახალმა მიღწევებმა—გახსნა ეს საიდუმლოებით მოცული მოვლენა და ნათელი შეიქნა მზის სითბოს შენარჩუნების და ენერგიულობის მარადიულობა.

ეს ახალი მიღწევები გვასწავლიან, რომ მატერია და ენერგია ეს ერთი და იგივეა, რომ მატრიას შეუძლია გაიხსნას ენერგიაში და შებრუნებულად.

მატერიის ენერგიაში გადასვლის—გახსნის დროს—ჩნდება ენერგიის მეტად დიდი რაოდენობა.

აქედან—საკმარისია მზის მთელი მასის ერთი პროცენტის გადასვლა ენერგიაში, რომ მზის სითბო და სხივ მფინაობა შენარჩუნებული იქნეს 150 მილიონი წლის განმავლობაში.

აი სად ყოფილა გასაღები—იმისა რომ მზეს ამდენ ხანს უცოცხლია და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს იარსებებს—თავისი ჩვეულებრივი სიცოცხლის მგვრელი მცხუნვარებით.

შეიხ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

გაზ. „წითელ არმიელის 550 ნომერში მოთავსებული იყო მოქ. სერმონიას წერილი, სადაც ის ეხება ცალკე საკავშირო ასეულის კანცელიარიის მოხელე-წ. არმიელს პირადოვს.

მო-ქე სერმონია აღნიშნავს თითქოს მე პირადოვი-სისტემატიურად ვლოთობ. კარავში ვბრუნდები საღამოს 10-9 საათზე, ვყვირი, ვიგინები უშვერი სიტყვებით, რაც ცუდათ მოქმედებს ახალწვეულ წითელ არმიელებზე და მრავალი სხვა. ამნაირად მე თითქოს ვარღვევ ბანაკის საერთო მყუდროებას.

სრული დამშვიდებული სინდისით ვამტკიცებ რომ ამხ. სერმონიას ასეთი ბრალდება ჩემს წინააღმდეგ სრული სიყალბეა.

მიკვირს რამ აიძულა მო-ქე სერმონია, რომ ასეთი სიცრუით გამოდის ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ნუ დაავიწყდება სერმონიას, რომ ის პასუხის მგებელია თითეულ თავის სიტყვაში.

ვიმეორებ, ყველაფერ ამას მე თუ რმე ჩავდივარ სისტემატიურად. ბევრჯერ შეეცადენ ჩემს დაწყნარებას მაგრამ ამაოდ.

ჩემი ბანაკად ყოფნის დროს მხოლოდ ერთ შემთხვევას ქონდა ადგილი, რომ მე დავითვერი და არა შემთხვევაში-არც გავგიჟებულვარ-არც უშვერი სიტყვებით გამილანძღავს ვინმე და არც ბანაკის მყუდროება დამირღვევია. ეს იყო და ეს.

ამხ. სერმონიას მიერ ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ყველა ბრალდებათა გამოსარკვევად ვიწვევ მას ამხანაგურ სასამართლოში. ჩემის მხრივ მსაჯულებად ვასახელებ ამხ. ამხ. გიორგაძე ნიკოლოზს, ხურცილავას და ვარლამ საპანაძეს.

ვთხოვ ამხ. სერმონიას თავის მხრივ დაასახელოს მსაჯულები და თქვენივე პატივცემულ გაზეთის საშუალებით ერთი კვირის განმავლობაში მაცნობოს საქმის გარჩევის დღე და რიცხვი.

პატივისცემით წ. არმ. პირადოვი.

## საერთაშორისო ომის ათი წლის თავზე.

### ომის მსხვერპლნი.

ის, რაც მოხდა 1914—1918 წ.წ. ე. ი. ოთხი წლის ომიანობის განმავლობაში, ამის მზგავსი მაგალითი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. ძალიან ძნელად ემორჩილება ადამიანის გონებას ყოველივე იმისი გაგება, რასაც მაშინ ადგილი ქონდა.

ომში მონაწილე ადამიანთა რაოდენობა; მოკლულთა, დაჭრილთა, დასახიჩრებულთა, აირით (გაზით) მოწამლულთა და დაავადმყოფებულთა რაოდენობა; ომის საჭიროებისათვის გაწეული ხარჯების რაოდენობა, ომის მიერ მიყენებული უბედურებანი, დანგრევა, დარბევა, აწიოკება და სხვა.

ყველა ეს რომ მოვიყვანოთ სისწორით აღრიცხვაში, მივიღებთ საშინელს, მეტად აღმაშფოთებელ ციფრებს.

რომ ოდნავ მაინც მცირე წარმოდგენა ვიქონიოთ იმპერიალისტურ ომზე, აქვე მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს ციფრების საშუალებით:

### მეომარ სახელმწიფოთა მოსახლეობის და ჯარში გაწვეულთა რაოდენობა მთელი ომის განმავლობაში.

| | მოსახლეობა | ჯარში გაყვანილნი |
|---|---|---|
| რუსეთი . . | 150 მილიონი | 15.500.000 |
| საფრანგეთი . | 39.700.000 | 8.400.000 |
| ინგლისი (უ კალონიოთ) | 46.000.000 კოლ. | 8.600.000 |
| იტალია (უ კალ.) | 36 მილ. (კალ.) | 5. მილ. |
| რუმინეთი. . | 7.000 500 ათასი | 1.100.000. |
| ბელგია . . | 7.500.000 | 500.000 |
| სერბია და ჩერნოგორ. | 6.600.000 | 800.000 |
| ამერიკის შეერთ. შტატ. | 100 მილ. | 3.700.000 |
| გერმანია . . | 68.000.000 | 11.000.000 |
| ავსტრო-უნგრეთი | 50.000.000 | 9.000.000 |
| ოსმალეთი . | 15.000.000 | 2.800.000 |
| ბულგარეთი . | 6.000.000 | 600.000 |

ამათ გარდა ომში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კიდევ სხვა სახელმწიფოებმა: პორტუგალიამ, იაპონიამ და საბერძნეთმა.

მაგრამ ამათ არ გაუღიათ დიდი მსხვერპლი არც ადამიანებით და არც ფულით, შედარებით სხვა მეომარ სახელმწიფოებთან.

ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს, თუ როგორ მზადებაში იყო ყოველი მეომარი სახელმწიფო.

ყველა აქ ჩამოთვლილ სახელმწიფოებმა, რომელთა მოსახლეობა ერთიანად შეადგენს 532 მილიონ ორ ასი ათას მცხოვრებს, ომში გაიყვანეს 67 მილიონი ჯარის-კაცი, ე. ი. ისეთი რიცხვი მუშებისა და გლეხებისა (ბურჟუაზია საომრად არ მიდიოდა), რომელიც ოთხი წლის განმავლობაში, დაბრმავებულნი ბურჟუაზიის მიერ უმოწყალოდ ჟლეტდენ ერთმანეთს და არ იცოდენ, თუ რისთვის და რატომ. 67 მილიონი ჯანღონით აღსავსე მუშა და გლეხი მოწყვეტილნი იყვნენ თავიანთ სამუშაოს და გადაქცეულნი ადამიანთა მხოცველ ყასაბებად.

### იმპერიალისტურ ომის მსხვერპლნი.

| | მოკლულნი. | დაჭრილნი. |
|---|---|---|
| რუსეთი . . . | 1.800.000 | 3.500.000 |
| საფრანგეთი . . . | 1.400.000 | 2.800.000 |
| ინგლისი . . . | 800.000 | 2.200.000 |
| იტალია . . . | 500.000 | 1.000.000 |
| რუმინეთი . . . | 100.000 | 250.000 |
| სერბია . . . | 50.000 | 150.000 |
| ამერიკა . . . | 100.000 | 250.000 |
| ბელგია . . . | 100.000 | 200.000 |
| გერმანია . . . | 1.900.000 | 4.300.000 |
| ავსტრო-უნგრეთი . | 1.500.000 | 2.300.000 |
| ოსმალეთი . . . | 500.000 | 1.000.000 |
| ბულგარეთი . . . | 100.000 | 200.000 |

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

---

## ჩვენი ფოსტა.

### ჩვენი სამხკორების საყურადღებოდ.

„წითელ არმიელის" რედაქცია ამხ. სამხკორების საყურადღებოდ ერთხელ და უკანასკნელად აცხადებს: კორესპონდენციები დაწერილი უნდა იყოს ქაღალდის ცალგვერდზე და რაც შეიძლება სუფთად, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ დაიბეჭდებიან.

**ამხ. სანი იმნაიშვილს.** გთხოვთ საჩქაროდ შემოიაროთ რედაქციაში.

**ამხ. ე. ც—იას.** თქვენი წერილი პოლიტმეცადინეობა არ გავა. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

**ამხ. ჭკადუას.** „ვინ არიან წითელი მეთაურები" არ დაიბეჭდება. მოიწერეთ კორესპონდენციები.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.